

24 საათი

ბაზათი 24 საათი

პარასკევი 27 თებერვალი, 2009 წელი. №43 (2081)

ფასი 50 თეთრი

„ოპოზიციური კონვერტები“

A2



ბანკლადეში მსაზღვრეთა აჭანებას 50 ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა

A7



ვსაავლობთ კადრიკებს

A10



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ უმჯობეს პირობებს

GRDC group

პიპი პიპი
პენსიონატის მართვა

ბრძოლა სიმაართლისთვის

მოსკოვი კვლავაც აგრძელებს სიკრიუს კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ. რუსული პროკურატურა აცხადებს, რომ საქართველოს მიერ ოსი მოსახლეობის გენოციდის ფაქტის უტყუარობა დაადგინა, მაშინ როცა მოსკოვი თავადაც ვერ ახერხებს საკუთარი ვერსიის დადასტურებას ათასობით დაღუპულის შესახებ. რუსეთის ბრალდებას უარყოფენ ოფიციალური თბილისი და უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც. იმავდროულად, რუსული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე ყურადღებას ამახვილებენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ვრცელ მოხსენებაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

დიმიტრი ავალიანი

რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა ოსი ხალხის გენოციდის საქმის გამოძიება თითქმის დაასრულა. ამის შესახებ კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტირკინმა განაცხადა. მისი

თქმით, ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მთლიანად ასაბუთებს ოსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, გენოციდის ფაქტს. ამ ფაქტების გამოძიება დასკვნით ფაზაში შევიდა.

ბაზარძილაბა A3 გვერდზე

საარჩევნო ქსევა-მანერების დასახვენად

გიორგი ასანიშვილი

გუშინ რვა პოლიტიკურმა სუბიექტმა ხელი მოაწერა ქვეყნის კოდექსს, რომლითაც მათ ახალი საარჩევნო კანონმდებლობის შემუშავების პროცესში უნდა იხელმძღვანელონ. ხელმოწერა შორის არიან "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (ხელმოწერილი აკაკი მინაშვილი), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ბაჩუკი ქარდავა), "მრეწველობა გადარჩენს საქართველოს" (ზურაბ ტყემალაძე), დემოკრატიული პარტია (გია თორთლაძე), "ქართული დასი" (გიორგი ბაშარაული), "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" (ლევან ვეფხვაძე) და პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენ თვითონ" (პაატა დავითაია). იგივე დოკუმენტს, ოლონდ ცალკე ეგზემპლარს (?), ლეიბორისტული პარტიის სახელით, ხელს აწერს გიორგი გუგავა. ორი კვირის განმავლობაში ქვეყნის კოდექსი ხელმოსაწერად სხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვისაც იქნება ღია.

გასული წლის დეკემბერში საქართველოს ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, რომ დაწყებულიყო მუშაობა ახალი საარჩევნო კოდექსის შექმნაზე.

ბაზარძილაბა A2 გვერდზე



დავით ბაქრაძე

უკრაინა - პოლიტიკური კრიზისის პირას

ლეონიდ კრავჩუკი ვადამდე არჩევნებს მოითხოვს

ივა შილაკაძე

საპრეზიდენტო არჩევნებამდე უკრაინაში, დაახლოებით, ერთი წელი რჩება, მაგრამ ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური ძალები ახალი არჩევნებისთვის უკვე

მზად არიან. უკრაინამ ბოლო ოთხი წელიწადი თითქმის მთლიანად საარჩევნო რეჟიმში გაატარა და ამ ძალებისთვის ეს უკვე "ნორმალურ" მდგომარეობად იქცა. პოლიტიკურ არასტაბილურობას დაემატა მსოფლიო კრიზისის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზეც,

რამაც სიტუაცია დაამძიმა. ეტყოდა ზოგიერთი პარტია მიიჩნევს, რომ ამ პირობებში უფრო ადვილად მიაღწევს შედეგს. სამშაბათს უკრაინის რამდენიმე ტელეარხზე გავიდა დამოუკიდებელი უკრაინის პირველი პრეზიდენტის - ლეონიდ კრავჩუ-

კის მიმართვა ამჟამინდელ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსადმი. კრავჩუკი იუშენკოს მოუწოდებს, საკუთარ ინტერესებზე მაღლა სამშობლო დააყენოს და ვადამდე გადადგეს თანამდებობიდან.

ბაზარძილაბა A8 გვერდზე

საარჩევნო ქსევა-მანერის დასახვედა

პირველი გვერდიდან

გუშინ, ორთვიანი კონსულტაციების შედეგად, ხელი მოეწერა ქვეყნის კოდექსს, რომლის დაცვა საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწაზე მომუშავე პოლიტიკური პარტიებისთვის სავალდებულოა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის განცხადებით, კონსულტაციები პრაქტიკულად ყველა პოლიტიკურ ძალასთან მიმდინარეობდა, რომელთა ნაწილი ბოლო, გუშინდელ შეხვედრაშიც მონაწილეობდა, მაგრამ მათ დოკუმენტის ხელმოწერისგან თავი შეიკავეს.

მართალია, პარლამენტის სპიკერი ამ პოლიტიკური სუბიექტების დაკონკრეტებაზე უარს ამბობს, მაგრამ ამის აუცილებლობა არც არსებობს - ვინაიდან ქვეყნის კოდექსს ყველა საპარლამენტო პარტია აწერს ხელს, ნათელია, რომ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა თქვეს...

ქვეყნის კოდექსით განისაზღვრება, რომელი პოლიტიკური პარტიები მიიღებენ მონაწილეობას ახალი საარჩევნო კანონმდებლობის შექმნაში და რა წესით იქნება ორგანიზებული სამუშაო პროცესი.

ქვეყნის კოდექსი შეიქმნა და დაგეგმილია: პროცესში მონაწილეობას წინასწარი პირობების ნამოყენების გარეშე; სამუშაო ჯგუფების სხდომების კონფიდენციალურობას და მასზე მედიის არდაშვებას; ნებისმიერი სახის მუქარაზე უარის თქმას; არჩევნების ჩატარებისთვის სტაბილური გარემოს შექმნას; კონსენსუსის შედეგად შემუშავებული ყველა სხვა წესის დაცვას და ა.შ.

დავით ბაქრაძე გარკვევით აღნიშნავს, რომ საარჩევნო კოდექსის შეცვლა გრძელვადიანი სამუშაო პროცესია და არანაირად არ უკავ

შირდება მიმდინარე პოლიტიკურ კონფლიქტურას, კერძოდ - ოპოზიციის ნაწილის მოთხოვნას ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე.

"ჩვენი მიზანია, რომ უახლოეს, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შევხვდეთ ახალი, უფრო დახვეწილი საარჩევნო კანონმდებლობით და უფრო დემოკრატიული გარემოთი," - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავებას, დავით ბაქრაძის ვარაუდით, დაახლოებით, ერთი წელიწადი დასჭირდება.

ოპოზიციური კონვერტები

აქციის ორგანიზატორთა ახალი ინიციატივა

პირველი თვეები

9 აპრილის აქციის ორგანიზატორმა ოპოზიციურმა პარტიებმა გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელეს. მათ საზოგადოებას და განსაკუთრებით თავიანთ კოლეგებს აქციაში აქტიური მონაწილეობისა და მიხედვით სააკაშვილის უპირობო გადადგომის მოთხოვნით გამოსვლისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს. ჯერჯერობით არასაპარლამენტო ოპოზიციას ამ საკითხსადმი საერთო მიდგომა ჩამოყალიბებული არ აქვს.

განცხადების ხელმოწერები მივიჩნევთ, რომ სააკაშვილის არალეგიტიმურობა და ანტისახელმწიფოებრივმა რეჟიმმა საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა და ამ კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი მიხილ სააკაშვილის გადადგომაა. ყველა მცდელობა, საქართველოში თავისუფალი არჩევნები დანიშნულიყო და ამ გზით განხორციელებულიყო ხელისუფლების ცვლილება, უშედეგოდ დასრულდა. ნებისმიერი არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მიხილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგ, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში," - აღნიშნა 9 აპრილის აქციის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კახა კუკავამ.

საგანგებო ბრიფინგი პარტია საქართველოს გზის" ოფისში გაიმართა. კუკავას თქმით, განცხადება - კონვერტი ჩადებული ყველა დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტსა თუ პოლიტიკურ პარტიას გაეგზავნება. ამ ფორმით აქციის ორგანიზატორები თავიანთ კოლეგებს აქციაზე ეპატივებინან.

ერთობლივი განცხადება დღეს საღამომდე პარტია საქართველოს გზის" ოფისში იქნება. პოლიტიკოსები, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ 9 აპრილს დაგეგმილ აქციას უნდა შეუერთდნენ, განცხადებაზე ხელმოწერას ამ დროის განმავლობაში შეძლებენ.

განცხადებას ხელს აწერენ ტრადიციონალისტთა კავშირი, მოძრაობა ერთიანი საქართვე-



ლოსთვის", კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია, პოლიტიკური გაერთიანება თავისუფლება", ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო", სალომე ზურაბიშვილის საქართველოს გზა", ქალთა პარტია.

პოლიტიკურ გაერთიანებას "ალიანსი საქართველოსთვის" 9 აპრილის საპროტესტო აქციაში მონაწილეობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ამჯერადაც არ მიუღია. ალიანსის წარმომადგენელთა განცხადებით, ერთი თვით ადრე ძნელია იმის განსაზღვრა, შეუერთდებიან თუ არა ისინი აქციის ორგანიზატორებს.

მემარჯვენეების ლიდერის, ალიანსის თანათავმჯდომარე დავით გამყრელიძის განცხადებით, მათ პოლიტიკურ გაერთიანებას საპროტესტო აქციების თაობაზე საკუთარი გეგმები აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც გამყრელიძემ გუშინ მედიას განუმარტა, ის გაეცნობა აქციის ორგანიზატორთა გეგმებს და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

"ალიანსი საქართველოსთვის" მეორე თანათავმჯდომარე

დავით უსუფაშვილს ამ საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდები აქვს. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ალიანსის ულტიმატუმს არ შეასრულებს და 5 მარტს რეფერენდუმს არ დანიშნავს, 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციები, შესაძლოა, პლემბისცილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს.

ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა გრანდიოზული აქციის იდეას იწონებს, მაგრამ, მისი აზრით, აქციის ორგანიზებაზე ოპოზიციამ ერთიანი სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშაოს. შარტავას მიაჩნია, რომ მხოლოდ ამის შემდეგ ექნება აზრი მასობრივი საპროტესტო აქციის დაწყებას. ნული

"ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ოპოზიციური პარტიების შეთანხმება მოქმედების ერთიანი გეგმის, ამ სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე აქციის ერთიანი თარიღისა და მთელი საქართველოს მასშტაბით თითოეული ჩვენგანის კოორდინირებული მოქმედების შესახებ. სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიებს შორის გამარ-

თულ კონსულტაციებზე ჩვენი აზრის გაზიარება არ მოხდა, შეთანხმება არ შედგა, ხოლო აქცია დაინიშნა. ვაფიქრობთ, ასეთ პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს 9 აპრილის აქციის ინიციატორთა პოზიციას მოსახლეობის მობილიზაციის, აქციის მომზადების, მისი მართვისა და 9, 10 თუ 11 აპრილს სააკაშვილის არგადდგომის შემთხვევაში, ოპოზიციის მოქმედების ტაქტიკის მიმართ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხებზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმის არქონის შემთხვევაში აქცია შედეგს ვერ მოიტანს და ხალხის დიდ იმედგაცრუებას გამოიწვევს, რაც ერთიანად დაზარალებს როგორც ოპოზიციურ პარტიებს, ისე საზოგადოებას და, რაც მთავარია, მთელ ქვეყანას, - ასეთია ეროვნული ფორუმის და მისი ლიდერის პოზიცია.

ფორუმი იმედს იტოვებს, რომ საპროტესტო აქციამდე ოპოზიციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას მოახერხებს.

"ნოგოვიცინი საინფორმაციო ომის თემით ფინანსურ მოგებას ელის"

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი რუსეთ-საქართველოს შორის ახალი საინფორმაციო ომის შესაძლო დაწყების თაობაზე რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილის განცხადებას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ "ნოგოვიცინი ამ თემაზე სპეკულირებით ფინანსური მოგების მიღებას ელის".

"ჩვენ არაფრისთვის არ ვემზადებით. საინფორმაციო ომში, სამწუხაროდ, უკვე ვიმყოფებით და გარკვეულ გამოცდილებასაც ვიღებთ იმ საკითხში, თუ როგორ დაფუძირებისპირდეთ ისეთი ქვეყნის საინფორმაციო გამოწვევას, როგორც რუსეთია," - განაცხადა მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ იაკობაშვილმა და აღნიშნა, რომ გამოწვევებთან გამკლავება საქართველოს ხელისუფლებას არცთუ ცუდად გამოსდის.

მინისტრმა ბრიტანეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი. მან აღნიშნა, რომ ეს განცხადება ქართული დიპლომატიის სერიოზულ წარმატებაზე მიუთითებს. მისი თქმით, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღიად აცხადებს, რომ დასავლეთი არ შეგუება იმ რეალობას, რომელიც რუსეთმა შექმნა. "მსგავსი განცხადებები ჩვენი დიპლომატიის სერიოზულ წარმატებაზე მიაჩნია, თუმცა ჯერ კიდევ არავის უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ყველაფერი გაკეთებულია. ჩვენი მთავარი ამოცანა შესრულება მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიას უკანასკნელი რუსი ოკუპანტი დატოვებს," - განაცხადა იაკობაშვილმა. მისივე თქმით, როცა საუბარია, თუ რა მიიღო საქართველომ საერთაშორისო მხარდაჭერისგან, ამ განცხადებების ნაკითხვა და ამ ახალი რეალობების დაფიქსირება სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს დიპლომატიის საკმაოდ სერიოზული წარმატება.

გარდა ამისა, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნასაც დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ დიკუმენტში საკმაოდ ადეკვატურადაა შეფასებული როგორც გასული წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული მოვლენები, ისე არსებული რეალობა. "რას შეეხება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების იმ ნაწილს, სადაც საუბარია, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოში დაშინებას ჰქონდა ადგილი, ქართული მხარე მზად არის, გაითვალისწინოს ყველა კრიტიკული შენიშვნა, - განაცხადა იაკობაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებთან საუბრისას. მისი თქმით, სწორედ ამიტომ შეიქმნა პარლამენტში სპეციალური ჯგუფი. "ამიტომ მოუწოდა პარლამენტმა ყველა ოპოზიციურ პარტიას ამ ჯგუფში მუშაობისკენ, რათა მომავალი არჩევნების დროს ქვეყანამ არ დაუმუგას და არ გაიმეოროს წინა არჩევნებზე დაშვებული შეცდომები," - აღნიშნა იაკობაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

დევნილთა განსახლების პროგრამა სამ ნაწილად დაიყო

აფხაზეთის მთავრობის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარემ თენგიზ ბენდელიანმა, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივის შესაბამისად, რომლის მიზანია დევნილთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დევნილთა განსახლების პროგრამა სამ ნაწილად დაიყო. პირველ ეტაპზე დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში დევნილებს საკუთრებაში გადაეცემათ ფართი, სადაც ისინი რეალურად ცხოვრობენ. მეორე ეტაპზე დაკმაყოფილდება დევნილთა ის კატეგორია, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი - ცხოვრობენ ქიორთი, გირაოთი ან ნათესავებთან. მესამე ეტაპზე იზრუნებენ იმ კატეგორიისთვის, ვისაც საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გააჩნიათ, მაგრამ საჭიროებენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

დეპარტამენტი მუშაობს სამივე კატეგორიის დევნილებზე ზუსტი მონაცემების შესაქმნელად.

იძულებით გადაადგილებული პირები ამ პროგრამის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით და მასმედიის სხვა საშუალებებით მიიღებენ. შესაძლოა დაიბეჭდოს ბროშურები, რომლებიც გადაეცემათ დევნილებს. საქართველოს და აფხაზეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პროგრამა დროულად განხორციელდეს, - განაცხადა თენგიზ ბენდელიანმა.

ჯი-ეიჩ-ენი

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "გვპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაბატა მუშაბიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ბრძოლა სიმაართლისთვის

პირველი გვერდი

საქართველოს საგარეო უწყებამ ამ განცხადებას სიცრუის მორიგი მაგალითი უწოდა, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიის ფონზე არავითარ გაკვირვებას არ იწვევს.

ოფიციალური თბილისი მოსკოვს საკუთარ დანაშაულებებს შეახსენებს: ასობით დახოცილი და ათასობით დევნილი მშვიდობიანი მოქალაქე, გადამწყვარი და დარბეული სოფლები - ეს არის მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესიის შედეგი. ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა და ასი ათასობით ადამიანი აიძულა, მშობლიური ადგილები დაეტოვებინა.

საგარეო უწყებას მოჰყავს ასევე საქართველოში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელ გორან ლენ-მარკერის განცხადება იმის შესახებ, რომ ცხინვალის რეგიონში მართლაც ჰქონდა ადგილი ეთნიკურ წმენდას, ოღონდ რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და მის მიერვე შექმნილი მარი-

ონეტული რეჟიმის მხრიდან.

ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების უამრავი მტკიცებულება თავის დასკვნებში წარმოდგენილი აქვთ არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს, - შეახსენებს მოსკოვს საქართველოს საგარეო უწყება. გენოციდის გარდა, სხვა რა შეფასება უნდა მიეცეს რუსეთის ქმედებებს, როდესაც საქართველოს ორგანიზაციულ ნაწილში ფაქტობრივად აღარ არსებობს ქართული მოსახლეობა, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ოფიციალური თბილისი ასევე აღნიშნავს, რომ გენოციდის დასაბუთების დიდი მცდელობის მიუხედავად, რამდენიმე თვის განმავლობაში რუსულმა პროკურატურამ ცხინვალში მხოლოდ 162 ადამიანის დაღუპვა დაადგინა. ოფიციალური რუსული ვერსიით კი, რომელსაც მოსკოვი საერთაშორისო დონეზე ახმოვანებდა, დაღუპულთა რაოდენობამ თითქოს 1500-დან ორი ათასამდე შეადგინა.

აგვისტოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებებზე ყურადღება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაამახვილა. გუშინ გამოქვეყნებულ ტრადიციულ ყო-

ველნიურ მოხსენებაში სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ აგვისტოში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრა განახორციელა, რითაც ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებული საზღვრები დაარღვია.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსი სამხედროები გორში ცეცხლს უხსნიდნენ სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებებს, რასაც მშვიდობიან მოქალაქეთა დაღუპვა და დაშავება მოჰყვა. ასევე, კონფლიქტის დროს და მის შემდეგ რუსული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ამავე დროს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ არაშერჩევითი და არაპროპორციული ძალა ორივე მხარემ გამოიყენა, მათ შორის - გრადის ტიპის რაკეტები და კასეტური ჭურვები, რამაც სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი გამოიწვია.

ავტორიტეტული უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ჰუმან რაიტს უოთჩის მიერ იანვარში გამოქვეყნებულ მოხსენებაში, რომელსაც დიდწილად ეყრდნობა აგვისტოს ომის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება, ქართული მხარის

ქმედებები ზოგ შემთხვევაში ძალის გადაჭარბებულ და არაშერჩევით გამოყენებად არის შეფასებული. ამავე დროს, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ რუსული და მათ ზურგს უკან მოქმედი სხვა ძალების ქმედებებს შესაძლებელია სამხედრო დანაშაულის კვალი იყოს მიეცეთ. კერძოდ, ეს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობას და სამოქალაქო პირების გამიზნულ მკვლელობებს გულისხმობს.

ჰუმან რაიტს უოთჩის მოხსენებაში ასევე საგანგებოდ აღნიშნულია, რომ გენოციდის ბრალდებები, რასაც ოფიციალური მოსკოვი თბილისს უყენებს, უსაფუძვლოა.

როგორც 24 საათისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰუმან რაიტს უოთჩის მოსკოვის ოფისის დირექტორის მოადგილემ ტანია ლოკინამ განაცხადა, სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქმედებებში გენოციდის ნიშნები არ ყოფილა ჩვენ აქ გენოციდის ნიშნებს ვერ ვხედავთ.

გარდა ამისა, მისი თქმით, ინფორმაცია ცხინვალში ორი ათასი დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქის შესახებ, რასაც მოსკოვის ოფიციალური პირები ავრცელებდნენ, არაფრით ყოფილა დასაბუთებული და რაიმე კონკრეტული ინფორმაციით არავის არასდროს დაუდასტურებია.

ცვლილებები დაზვერვაში

კოორდინირებული მუშაობისთვის დაზვერვის საბჭოს შექმნა იგეგმება

დათო ბაჩოშვილი

რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ სულ უფრო აქტიური ხდება საქართველოს ხელისუფლების მიუშაობაში არსებული ხარვეზების გაანალიზება და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება. აგვისტოს მოვლენების დროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უწყებებს შორის კოორდინაციის არ არსებობა იყო. შესაბამისად, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურსა და სხვა სადაზვერვო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლა სათანადო დონეზე არ იყო უზრუნველყოფილი, იმავეს თქმა შეიძლება სამხედრო დაზვერვასა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების შესახებ. ურთიერთთანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება, ზუსტი გეგმების შემუშავება და ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედება. ამიტომ საქართველოს დაზვერვის სისტემის ეფექტურად ამუშავებისთვის საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა სადაზვერვო საქმიანობის და დაზვერვის სამსახურის შესახებ კანონის პროექტები.

სადაზვერვო საქმიანობის შესახებ კანონი განსაზღვრავს სადაზვერვო საქმიანობის სფეროს ძირითად მიმართულებებს და სადაზვერვო საქმიანობის მართვისა და კომპეტენციის სფეროებს, საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების

ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს. ახალი კანონპროექტის მიხედვით, სადაზვერვო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იქმნება ახალი სათანადო ორგანო - დაზვერვის საბჭო. საბჭოს ფუნქცია არის შემოსული მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება, ინფორმაციის ანალიზი, სხვადასხვა უწყებების კოორდინაცია და შესაბამისი წინადადებების გამოქვეყნება. საქართველოს პრეზიდენტი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება დაზვერვის საბჭოს წევრი. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენელი და სასაზღვრო პოლიციის სადაზვერვო დანაყოფის ხელმძღვანელია. რაც შეეხება საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურს, ის შეიცვლის სახელწოდებას და მისი ფუნქციები განსაზღვრულია დაზვერვის სამსახურის შესახებ კანონპროექტში. მიუხედავად იმისა, რომ დაზვერვის სამსახურის ეფექტური მუშაობისთვის ახალი კანონის მიღებაა დაგეგმილი, დაზვერვის სამსახურისთვის დაფინანსების გაზრდა გათვალისწინებული არ არის (მხედველობაში თუ არ მივიღებთ საქმისი უზრუნველყოფას).

დაზვერვის საკითხების ექსპერტმა დავით ბაზლაძემ 24 საათთან საუბარში დადებითად შეაფასა დაზვერვის სისტემის ეფექტურად ამუშავებისთვის შექმნილი კანონპროექტები. მისი თქმით, განმარტებების და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კანონის პროექტი უდავოდ კარგი ნამუშევარია. ამ კანონპროექტის

მიმართ მე არ მაქვს რაიმე შენიშვნა. თუმცა მნიშვნელოვანია, თუ როგორ იმუშავებს დაზვერვის საბჭოს აპარატი, როგორ იქნება უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმები. ჩემი აზრით, სადაზვერვო უწყებების წარმომადგენლები უნდა იყვნენ დაზვერვის საბჭოს აპარატში და ყოველდღიურ რეჟიმში უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა, ანალიზი, დამუშავება. კოორდინაციის მექანიზმები აუცილებლად უნდა გაიწეროს თუნდაც შიდაუწყებრივ დოკუმენტებში. დაზვერვის საბჭოს დებულებაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იქნება, - მიიჩნევს ექსპერტი. თუმცა, ბაზლაძის აზრით, დაზვერვის სისტემის ეფექტური მუშაობისთვის დახვეწილი კანონის პროექტი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია. მან 24 საათს განუმარტა, რომ ასევე მნიშვნელოვანია დაფინანსება - ამ შემთხვევაში არა მხოლოდ თანამშრომლების ანაზღაურება, არამედ ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა და თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ცნობილია, რომ იაფი დაზვერვა არ არსებობს. სახელმწიფოს ან აქვს ფუნქცია, რომ იყოლოს დაზვერვა ან არა აქვს. როცა ამოცანები ისმება და პროგრამები დგება, ისინი დაფინანსებული უნდა იყოს, - აღნიშნა დაზვერვის საკითხთა ექსპერტმა. მისი თქმით, სპეცსამსახურების მუშაობას რეალური შედეგი რომ ჰქონდეს, ამისთვის, გარდა დაფინანსებისა, აუცილებელია ამ სტრუქტურებში მომუშავე პირებისთვის სათანადო პირობების შექმნა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მათი სოციალური სტატუსის ამაღლებასზე. ამ ხალხს იქ მიავლენენ, სადაც საჭიროება ითხოვს და უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველდღიურ

ბრძოლაში არიან. დაზვერვის თანამშრომლებს ყოველთვის ჰყავთ მონიშნულმაგეგმები - იმ ქვეყნის კონტრდაზვერვა, რომელი ქვეყნის შესახებაც ცდილობენ ინფორმაციის შეგროვებას. ეს ადამიანები უცხო ქვეყანაში, როგორც კი კანონი დაარღვევენ და უხილავ ზღვარს გადავლენ, მაშინვე აღმოჩნდებიან მარწუხებში. ამიტომ დაზვერვის თანამშრომლებს ყველა სახელმწიფო უფროსილდება, - განმარტა დავით ბაზლაძემ. მას მიაჩნია, რომ სახელისუფლებო უმრავლესობის თანამდებობის პირის ცვლილება არ უნდა იწვევდეს გამოცდილი თანამშრომლების გათავისუფლებას. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო სამსახური მუდმივია და კარიერული ზრდის შიდა უწყებრივი მექანიზმები მკვეთრად არის განვითარებული. თუკი პირმა კანონი არ დაარღვია, მის კარიერას საფრთხე არ ემუქრება. დაზვერვაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციებს და პროფესიულ მომზადებას, რადგან ამ სამსახურის თანამშრომლის ფსიქოლოგია მკვეთრად განსხვავდება სხვა უწყებებში მომუშავე ადამიანთა ფსიქოლოგიისგან. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მათ პროფესიულ მომზადებაზე, რათა მათ შეასწავლოს ის სადაზვერვო ტექნოლოგიები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში არსებობს. სპეცსამსახურის მუშაკისთვის გამოცდილება უმნიშვნელოვანესია და თუკი კადრების დამზადებას არ უზრუნველყოფთ, ხალხი გამოცდილების მიღებასაც კი ვერ მოასწარებს, - დასძინა დაზვერვის საკითხთა ექსპერტმა.

“დევნილების დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ გალის რაიონში”

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, ამჟამად დევნილების დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ გალის რაიონშია შესაძლებელი. "ჩვენ რესპუბლიკაში დევნილების დაბრუნების საკითხს, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე ვწყვეტთ. ჩვენ დავთანხმდით იმაზე, რომ პირველ ეტაპზე ადამიანებს შეეძლებათ მხოლოდ გალის რაიონში დაბრუნება ანუ ადგილზე, სადაც კომპაქტურადაა ჩასახლებული ქართული მოსახლეობა. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ გალის რაიონში, ჩვეულებრივად გადაადგილდებიან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და იმავე უფლებებით სარგებლობენ, რა უფლებებიც აფხაზეთის სხვა მოსახლეობას აქვს," - აცხადებს შამბა. მისივე თქმით, რაც შეეხება ადამიანების დაბრუნებას აფხაზეთის სხვა რეგიონებში ანუ იქ, სადაც ომამდე შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, "ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცხადია, რომ ქართველების აქ დაბრუნება შეუძლებელია მანამ, ვიდრე ამისათვის აფხაზეთის საზოგადოება არ იქნება მზად". "ეს რომ ასე მომხდარიყო, საქართველოს ხელისუფლებას მთელი ამ წლების განმავლობაში აფხაზეთთან მიმართებაში უნდა ეწარმოებინა დიამეტრულად სანინალმდეგო პოლიტიკა, რომელიც ნდობის აღდგენისკენ იქნებოდა მიმართული. ამის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ აუარესებდა ურთიერთობებს, ახორციელებდა პერმანენტულ აგრესიულ აქტებს, პროვოკაციებსა და დივერსიებს და ამით აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე დევნილების დაბრუნებას შეუძლებელს ხდიდა," - აცხადებს სერგეი შამბა.

ჯი-ეიჩ-ენი

დღეს პარლამენტში მთავრობის მეთაურის მისვლას ელიან

დღეს პარლამენტში მთავრობის მეთაურის მისვლას ელიან. ნიკა გილაურთან შეხვედრა ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატშია დაგეგმილი. თავად შეხვედრის თემა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობიდან გამოყოფას და მის დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბებას ეხება. საბჭოს წევრები ამ გეგმის შესახებ თავად გილაურს მოუსმენენ. ანტიკრიზისული საბჭოს სხდომები პარლამენტში მომავალ კვირასაც განახლდება. დაგეგმილია მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებთან შეხვედრა. ანტიკრიზისული საბჭოს დღევანდელი სხდომა 15 საათზე დაიწყება.

პირველი

ედმ ანტიკრიზისული საბჭოს საგანგებო რიგგარეშე სხდომის დანიშვნას ითხოვს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, გამომდინარე თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან, მიმართავს ანტიკრიზისულ საბჭოს, დანიშნოს საგანგებო რიგგარეშე სხდომა, სადაც დეტალურად იქნება განხილული საბჭოს შექმნის მიზნები და მისი მთავარი ამოცანები. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტიკრიზისულმა საბჭომ, რომელმაც აგვისტოს რუსული აგრესიის შემდეგ საკმაოდ მაღალი ფუნქცია აიღო ქვეყანაში არსებული კრიზისის გადაჭრის ხელშეწყობისთვის, ვალდებულია, თავისი საქმიანობა სწორედ ამ მიზნებსა და პრინციპებს დაუქვემდებაროს, - ნათქვამია ედმ-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის დელეგაცია ეწვევა

4-6 მარტს საქართველოს ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის დელეგაცია ეწვევა. დელეგაცია გაეცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმათა მდგომარეობას ახალი ტერიტორიული სტრუქტურის დამტკიცების შემდგომ პერიოდში. საქართველოს პარლამენტის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, დელეგაცია განიხილავს ამჟამინდელ პრიორიტეტებს და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უკეთესი სამუშაო პროგრამის შემუშავების გზებს. ეროვნული მრგვალი მაგიდა 2009 წლის მაისში გაიმართება, რომლის დროსაც მოხდება ამგვარი პროგრამის მიღება და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის დახმარების შესახებ შეთანხმება შედგება. 6 მარტს თბილისში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროში საერთაშორისო პარტნიორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართება.

ჯი-ეიჩ-ენი

"კონსერვატიული პარტია" ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ ხედვებს არ იზიარებს

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ "კონსერვატიული პარტია" ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ ხედვებს არ იზიარებს.

მისი თქმით, პარტია ასევე არ იზიარებს ირაკლი ალასანიას და "ალიანსი საქართველოს" მოსაზრებებს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, თუმცა კუკავას თქმით, ის არ აპირებს ალასანიასთან რაიმე ფორმით დაპირისპირებას.

"ჩვენ არ ვაპირებთ, გავიმეოროთ ის შეცდომა, რაც ბევრჯერ ყოფილა ქართულ პოლიტიკაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ოპოზიციას შორის მწვავე ლანძღვა-გინებას. ჩვენ არ ვიზიარებთ ალასანიას ხედვას. გვაქვს განსხვავებული მოსაზრებები, იგივე რეფერენდუმის საკითხსა და საპროტესტო აქციებზე. მას ხელი არ მოუწერია მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ მემორანდუმზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მასთან პირადულ კონფლიქტში ჩართვას ვაპირებთ. ამ ადამიანს ძალიან დიდ პატივს ვცემ, ხელისუფლებაში ყოფნისას ის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და კარგი სახელმწიფო ჩინოვნიკი იყო, მაგრამ მისი, როგორც პოლიტიკოსის შეხედულებებს არ ვიზიარებთ," - განაცხადა კახა კუკავამ.

ჯი-ეიჩ-ენია

"კრიზისის პერიოდში ბათუმში მშენებლობა ერთი წუთითაც არ შეწყდეს"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში სასტუმრო "ჰილტონის" მშენებლობა დაათვალიერა. "ჰილტონი" შავი ზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და კომფორტული სასტუმრო იქნება. პრეზიდენტი ძველი ბათუმის რეაბილიტაციის სამუშაოსაც გაეცნო. მოინახულა ევროპის მოედანზე მშენებარე ელიტარული საცხოვრებელი სახლი და კომპლექსი "თეთრი იალქანი", რომელსაც სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტი" აშენებს. "ჩემი ამბიციაა, რომ კრიზისის პერიოდში ბათუმში მშენებლობა ერთი წუთითაც არ შეწყდეს. ბათუმს ყველაზე გრძელი ბულვარი ექნება - თითქმის 8 კილომეტრი," - განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი აჭარაში ბათუმის სკოლების პედაგოგებსაც შეხვდა. სააკაშვილის განმარტებით, განათლება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული სფეროა და სწორედ ამიტომ პედაგოგების პირობების გაუმჯობესებას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე პედაგოგს პრეზიდენტის სტიპენდიაც გადასცა. სააკაშვილის განმარტებით, აუცილებელია ადგეს სკოლის ოლიმპიადები, რაც მოსწავლეებს სწავლისთვის დამატებით სტიმულს მისცემს. "ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მასწავლებლები არ დაიჩაგრონ და მათი პირობები გაუმჯობესდეს. განათლება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია, მისი მთავარი ფიგურა კი პედაგოგია. წლის დასაწყისში გავზარდეთ ხელფასები, ვაუჩერული დაფინანსება 42 მილიონით იზრდება, პედაგოგების სადაზღვევო დაფინანსება კი 19 მილიონი ლარით გაიზრდება," - განაცხადა სააკაშვილმა. "ოპტიმიზაციის კუთხით პატარა სკოლების დახურვა შეცდომა იყო, რადგან სკოლა, რომელშიც თუნდაც 6 ბავშვი სწავლობდა, სოფლის საგანმანათლებლო ცენტრი იყო," - დასძინა პრეზიდენტმა.

ჯი-ეიჩ-ენია

არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო კრებას მოიწვევენ

15 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციები რუსთაველის ძეგლთან დიდ სახალხო კრებას მოიწვევენ. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის "კანონი ხალხისთვის" ლიდერმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობის გადადგომის მოთხოვნის გარშემო ერთიანდებიან. მისი თქმით, მთავრობა ხალხმა აირჩია და მან საზოგადოების მოთხოვნა უნდა გაითვალისწინოს. "15 მარტს, 15 საათზე, საქართველოში არსებული ვითარების გამო საზოგადოების სხვადასხვა ფჯუფები შოთა რუსთაველის ძეგლთან შეიკრიბებიან და სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის დიდ სახალხო კრებას გამართავენ. ამ კრების მიზანია პრეცედენტის შექმნა, რომ ქვეყნის რეალური პატრონი ხალხია და არა მის მიერ არჩეული მთავრობა," - განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა. სახალხო კრების ინიციატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია - დემოკრატიისთვის; ქართული აკადემია; დამოუკიდებელი ექსპერტები; ჟურნალისტები; ქართველ მწერალთა კავშირი; თავისუფალი აზრის სახლი; საორტის აკადემია; ვეტერანთა კავშირი; პოლიტპატიმრების ოჯახები და ადვოკატთა პროფკავშირი.

ჯი-ეიჩ-ენია

უცნობის საქართველო

ზიზა ზაღანიძე

წინამდებარე ტექსტში შევეცდები გავარკვიო, რა დგას იმ ვიზუალური თუ აუდიო ფრაგმენტების უკან, რომლებსაც "საკანი N5" მოვკრავთ ხოლმე თვალსა და ყურს. მაყურებლისთვის ცხადია, რომ შოუ გამონვეული არსებული სიტუაციის მიმართ სასტიკი უქმყოფილების გრძობით და, ასევე, ოცნებით უკეთეს საქართველოზე. სწორედ იმის განხილვა მინდა, თუ როგორია უცნობის საოცნებო საქართველოს მახასიათებლები.

მე სამი ასეთი მახასიათებელი დავინახე:

ა) პრო-რუსული პოლიტიკა. უცნაური შედეგი გვაქვს სახეზე - სანამ რუსეთი მხოლოდ არაპირდაპირად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რუსეთის სასიკეთოდ ხმას ვერავის ამოაღებინებდი. ახლა დაგვმზობა, დამატებითი ტერიტორიები ნაგვართვა, მოქალაქეები დაგვიხოცა და დაგვიჩიოცა - და უცებ პრო-რუსული დისკურსი ნიადაგირივით მოაწყდა ქართული მენტალობის ნაპირებს. ზოგიერთი ახლად გაჩენილ ბლოკ-პოსტებს ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევს, ზოგიც რუსეთთან ორასმეერთეჯერ შეთანხმებისა და შერიგების აუცილებლობაზე საუბრობს. რაშია საქმე? მოდი, თავი დავანებოთ დიდ რუსულ კულტურაზე აპელირებას. ჩინური კულტურა კიდევ უფრო დიდია და დიადი, მაგრამ რაღაც არ მახსენდება ჩინეთთან დაახლოების შესახებ ლაპარაკი. იქნებ ჩვენ დიდ რუსულ კულტურას ვიცნობთ უკეთესად? სულაც არა. "საკანი N5"-ის შესახებ ერთმა ჩემმა მეგობარმა იხუმრა, სინამდვილეში გადაცემას "პალატა N6" უნდა ერქვასო. ხუმრობის არს ვერ ჩასწვდა თითქმის ვერავინ, მათ შორის ვერც შოუს ვერც ერთი ფანი - პირიქით, უსწორებდნენ, ნომერი ექვსი კი არა, ნომერი ხუთი უნდა გეთქვაო. რუსული კულტურა აქ არაფერ შუაშია - ადამიანები, ვინც დღეს პრო-რუსულ არჩევანს აკეთებენ, ცნობიერად ირჩევენ რუსულ სახელმწიფოს. ოღონდ გაუგებარია, რა პრინციპით. რუსული იმპერიალიზმი ხომ

იმით განსხვავდება, მაგალითად, ამერიკული "რბილი ძალისაგან", რომ მის უკან არაფერი დგას, ტანკების გარდა. ამერიკის უკან კი დგას: დემოკრატია, მაკ-დონალდსი და კოკა-კოლა, პოლიუდი, პოპ-მუსიკა, ბოლოს და ბოლოს, დღემდე ყველაზე ძლიერი ეკონომიკა. იგრძენით განსხვავება?

კიდევ ერთი პარადოქსი - ის ადამიანები, რომლებიც რუსეთთან მორიგებაზე ლაპარაკობენ, სააკაშვილის ხელისუფლებას ხომ იმიტომ ებრძვიან, რომ ის, მათი აზრით, არადემოკრატიულია? და მაშინ რატომღა ირჩევენ ისინი რუსეთის სახელმწიფოს პრივილეგირებულ პარტნიორად? ნუთუ ეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს?

როცა ვთქვი, პრო-რუსულ არჩევანში რუსული კულტურა არაფერ შუაშია-მეთქი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის მნიშვნელობას ვაკნინებ. უბრალოდ იმ კულტურას, რომლის მიმართაც უცნობის შოუში ნოსტალგიას ვგრძნობთ, რუსული არ ჰქვია. ესაა:

ბ) საბჭოთა კულტურა. აქ მე სიტყვა "კულტურას" ვიყენებ, როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკების ერთობლიობას და არა როგორც ბალეტისა და ოპერის აღმნიშვნელ ტერმინს. საბჭოთა კულტურა (საქართველოში სპეციფიკურად სამხრეთულ კულტურულ პრაქტიკებთან გადაჯაჭვული) - აი, ნოსტალგიის მთავარი ობიექტი. საკანი, როგორც კარგი ადამიანების ადგილი (როგორც ქურდულ სიმღერაშია: "აბა ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო, გალიაში ბულბულები ზიან"; ქურდების იდეალიზაცია ნოდარ დუმბაძის პროზაში); ერთი მხრივ, "ინტელიგენტი" და, მეორე მხრივ კი, "ქურდული" თუ "კაიბიჭური" მტყვევლებების გადაჯაჭვა (ციტატა ვაჟაძან და, იმავე დროს, "ატყევი ვარ"); "კაი ბიჭობისა" თუ "კაი კაცობის" ის აპოლოგია, რომელიც ძალიან აახლოვებს უცნობის საქართველოს ნაცნობის საქართველოსთან - კაი კაცობისა, რომელმაც მხოლოდ ნათესაურ-ახლობლურ-კლანური სივრცე

იცის და საჯარო სფეროზეც ამ სივრცის გადატანა სურს - ესაა კულტურის ელემენტები, რომლის დაკარგვისაც ეშინიათ.

ეს საბჭოთა კულტურა გარკვეული ადეკვატურობის მატარებელი იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ის პროტესტის რაღაც - თუმცა არცთუ ისე პროდუქტიულ - ფორმას წარმოადგენდა. მოდერნული სახელმწიფოსთვის ასეთი ტიპის კულტურა (რომელიც თამამად შეიძლება შევადაროთ სამხრეთ იტალიურს, თავისი მაფიოთა და განუვითარებელი სამოქალაქო ცნობიერების მხოლოდ და მხოლოდ ხელისშემშლელია.

გ) დესეკულარიზებული საზოგადოება. არ იფიქროთ, რომ სათანადოდ არ მესმის რელიგიის როლი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანს ცხოველისაგან სულ რამდენიმე სფერო განსხვავებს. ესენია: რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, პოლიტიკა და სიყვარული (თორემ ჭამა და შეწყვილება შიმპანზეებსაც სიახლოვებთ). მაგრამ რითი განსხვავდება თანამედროვე საზოგადოება შუა საუკუნეობრივი საზოგადოებისგან? თანამედროვე საზოგადოებაში ზემოთჩამოთვლილი სფეროები ერთმანეთისაგან გამოყოფილია. ადამიანი ისე ხატავს, რომ არ სჭირდება, დამორჩილდეს ეკლესიის მითითებებს; ისე იკვლევს სამყაროს, რომ არ სჭირდება იმის გათვალისწინება, თუ რას ამბობს ამაზე ბიბლია და ა. შ. ეს გამოყოფა-დიფერენციაციის პროცესი გულისხმობს რელიგიის გადაქცევას ადამიანის პირად საქმედ. ამ პროცესს ეწოდება სწორედ სეკულარიზაცია. ამის საპირისპიროდ, პროცესს, როდესაც რელიგია ისევ ტოტალური ხდება და საზოგადოების ყველა სფეროზე ვრცელდება, დესეკულარიზაციას უწოდებენ ხოლმე. არ არსებობს შესაძლებლობა, ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთდროულად ლიბერალურმა დემოკრატიამაც გაიხაროს და ანტი-სეკულარულმა ცნობიერებამაც გაიმარჯვოს. ან ერთი, ანაც - მეორე.

მოკლედ, თუ ამ რეალითი-შოუს მთავარი პერსონაჟის სამეტყველო ფრაგმენტებისა და თავად გადაცემის ესთეტიკის

ერთმანეთთან შეხამებას შევეცდებით, მივიღებთ იდეოლოგიურ წარმონაქმნს, რომელიც ზემოთაღწერილი სამი მომენტით ხასიათდება.

რამდენად გავლენიანი შეიძლება იყოს ეს ახალი იდეოლოგიური კონსტრუქტი?

აქ ორი პასუხი შეიძლება: პესიმისტური და ოპტიმისტური.

პესიმისტური სცენარი ისტორიულ ანალოგიას ეფუძნება: ირანში ისლამისტური რევოლუცია, რომლის შედეგადაც ქვეყანამ უარი თქვა დასავლური განვითარების გზაზე, სწორედ იმის დასავლური ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდა; კერძოდ, აიათოლა ჰომეინი, რომელიც გადასახლებაში იმყოფებოდა, საკუთარ ქადაგებებს ირანში მანგიტოფონის კასეტებით ავრცელებდა. ამან სასურველი შედეგიც მოიტანა.

ოპტიმისტური სცენარი კი თეორიული პოსტულატიდან ამოდის - მედიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლური თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ მედიუმი არის მესიჯი, ფორმა არის შინაარსი; ადამიანს შეიძლება უნდოდეს ერთადერთი და განუმეორებელი პოლიტიკური შოუს მოწყობა, რომელსაც შედეგად რევოლუციური ძვრები ექნებოდა, მაგრამ, რაც არ უნდა ილაპარაკოს მან - მხოლოდ და მხოლოდ სატელევიზიო ფორმატიდან გამომდინარე, სწორედ იმის გამო, რომ ფორმას საკუთარი მესიჯერება აქვს, რომელიც შინაარსისაგან დამოუკიდებელია - ეს შოუ ალქმული იქნება, როგორც კიდევ ერთი რეალითი-შოუ, როგორც "ჯეო-ბარისა" და "ამტანების" გაგრძელება. იმავე პრაქტიკული შედეგებით.

არსებობს საზოგადოებები, რომელთა განვითარების დონეც ცივილიზაციის მიღწევებს, ასე ვთქვათ, "არადანიშნულეებისამებრ" იყენებს. მედია შეიძლება გარკვეულ საზოგადოებაში დემოკრატიისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ ძალად კი არა, კოლონიური დამოკიდებულებისა და ფუნდამენტალიზმის დამკვიდრების მოტივად იქცეს. ვნახოთ, მიეკუთვნება თუ არა საქართველო ასეთი საზოგადოებების რიცხვს.

ილია ბიორის საქართველო ფონდის ანტინარკოტიკული პროგრამის კრიზენტასია

შერატონ მეტეხი პალასში" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია ბიორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ანტინარკოტიკული პროგრამის "საქართველოს ახალგაზრდობა ჯანსაღი მომავლისათვის" პრეზენტაცია გაიმართება. პროექტი ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მონყალების ორგანიზაციის

(IOCC) მხარდაჭერით ხორციელდება. პრეზენტაციაზე "ანტინარკოტიკული მედიკამანია" იქნება წარდგენილი, რომელშიც საქართველოს ტელეკომპანიები რუსთავი 2", "იმედი", "მზე", პირველი ა ხი, "ერთსულოვნება" არიან ჩართულები. დღეს ნაჩვენები იქნება სატელევიზიო კლიპები, რომლებიც ახალგაზრდობაში ანტინარკოტიკული განწყობის შექმნისკენა მიმართული და ქართული ეროვნული ფსიქოლოგიური

სკოლის - განწყობის თეორიის კანონზომიერებებზე დაყრდნობით შემუშავდა, ასევე წარმოდგენილი იქნება ნიგნი "ნარკომანიის პრევენციის ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები", განკუთვნილი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მომავალი თაობის აღზრდითა დაკავებული და დაინტერესებული. ეს ფუნდამენტური სამეცნიერო შრომაა, რომლის ანალოგი საქართველოში არ გამოცემულა. ასევე მოწყობა სასკოლო ანტი-ნარკოტიკული კლუბების პროგ-

რამის ფარგლებში სკოლებში ჩატარებული კვლევების შედეგების, ასევე ნარკომანიის საკითხებით დაინტერესებული სასულიერო პირებისათვის ჩატარებული ტრენინგ-სემინარების მასალების პრეზენტაცია. მოძღვრებმა ამ პრობლემის ფსიქოლოგიური, სოციალური და სამედიცინო ასპექტები შეისწავლეს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მრევლთან პრევენციული მუშაობის კვალიფიციურად წარმართვისათვის.

პირველი

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება ქართულ მართლმსაჯულებაზე

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების შესახებ ყოველწლიური ტრადიციული ანგარიში გამოაქვეყნა. ვრცელ დოკუმენტში რამდენიმე გვერდი სასამართლო ხელისუფლებასაც ეძღვნება. გირაო, საქმეთა განხილვის ვადები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლებური დაკომპლექტება და მოსამართლეთა კომუნიკაციის შესახებ კანონის შეფასება, - ეს ის ძირითადი საკითხებია, რაზეც ანგარიშშია საუბარი.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2007 წლის იანვრიდან მართლმსაჯულება ცდილობდა მეტად გამოეყენებინა გირაო, ვიდრე წინასწარი პატიმრობა. 2008 წლის 11 თვის სტატისტიკის მიხედვით, გირაო გამოყენებულ იქნა საქმეთა 53.7 პროცენტზე, წინასწარი პატიმრობა კი - 45.1 პროცენტზე. უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, 2008 წლის 11 თვის განმავლობაში, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ მთავრობის სასარგებლოდ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეთა 44,5 პროცენტზე და 55,2 პროცენტზე კი კერძო პირების ან კომპანიების სასარგებლოდ. დარჩენილი საქმეები მო-

რიგების საფუძველზე გადაწყდა. ანგარიშში, რომელშიც საუბარია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მომხდარ რეორგანიზაციაზე, მოსამართლის დანიშვნისა და გათავისუფლების ახალ წესზე, ყურადღება მოსამართლეთა დანიშვნის გაუმჯობესებაზეც არის გამახვილებული. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი არ იყო საკმარისად გამჭვირვალე. კანდიდატების გასაუბრება მიმდინარეობდა დახურულ კარს მიღმა და შესაბამისად, არავინ იცოდა, თუ რა კრიტერიუმებით ხდებოდა კანდიდატების შერჩევა.

2007 წლის ივლისში, პარლამენტმა მიიღო კანონი ცალმხრივი კომუნიკაციების თაობაზე, რომელიც პროკურორებს, გამომძიებლებსა და ნებისმიერ დანტერესებულ მესამე მხარეს უკრძალავდა მოსამართლესთან კონტაქტს სასამართლო დარბაზის გარეთ საქმის განხილვის განმავლობაში, რათა გავლენა არ მოეხდინათ გადაწყვეტილების მიღებისას. კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის აგვისტოში, ასევე გააუქმა საბჭოთა პერიოდის დროინდელი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მოსა-

მართლმსაჯულების ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი წესით დასჯას არასწორი გადაწყვეტილებისთვის. მოსამართლეებს მოეთხოვებათ, წერილობითი ფორმით სასამართლოს თავმჯდომარეს სასწრაფოდ აცნობონ ცალმხრივი კომუნიკაციების შესახებ. ეს უკანასკნელი ვალდებულია 14 დღის განმავლობაში მოხსენებას გადახედოს და მხარეს, რომელიც მოსამართლესთან კომუნიკაციას ცდილობდა, დააკისროს ჯარიმა 2000 ლარამდე (დაახლოებით 1210 აშშ დოლარი) ან საქმე გადასცეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს. მდივანს აქვს ერთიანი ვადა, მოხსენებას გადახედოს და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს გადაუზღავდეს - გენერალური პროკურატურას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ან შესაბამისი სამსახურის უფროსებს, შემდგომი დისციპლინური ღონისძიებებისათვის. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი ცალმხრივი კომუნიკაციების შესახებ, 4 დარღვევა დაფიქსირდა. მათ შორის, 3 საქმეში არ იყო ჩართული ოფიციალური საჯარო პირი, - აცხადებენ სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტები და მოჰყავთ მაგალითები.

3 სექტემბერს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ პირისგან ზარი მიიღო, რომელიც გაეცნო მას, როგორც იუსტიციის მინისტრი და სთხოვა, რომ სამოქალაქო საქმე გადაეწყვიტა მისი მეგობრის სასარგებლოდ. მოსამართლემ ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც საქმე გადასცა სამართალდამცველ ორგანოებს. წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა, რათა დაედგინათ იმ პირის იდენტობა, ვინც მოსამართლესთან დარეკა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში შეაფასა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა. მისი აზრით, ანგარიში დადებითია. თუმცა, მასში მოყვანილ ზოგიერთ ფაქტს ადგილი აღარ აქვს, რადგან, სასამართლო სისტემაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა. მაგალითისთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ანგარიშში მოყვანილ ფაქტს - მოსამართლეების დანიშვნის წესის გაუმჯობესებას ასახელებს და აცხადებს, რომ დანიშვნის პროცესი ახლა გამჭვირვალედ მიმდინარეობს და მას უცხოელი ექსპერტებიც ესწრებიან.

საბერძნეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

საბერძნეთში, ათენის გარე უბანში კიდევ ერთი ქართველი, 26 წლის ნონა ქისტაური გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვლილს ჭრილობა თავის არეში, ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული.

გარდაცვლილის ოჯახის წევრების განმარტებით, ნონა ქისტაური ბოლოს მეგობარმა მაშინ ნახა, როცა იგი დედისთვის საჩუქარს ყიდულობდა. ამის შემდეგ იგი არავის უნახავს. პოლიციამ მოკლულის ცხედარი ქალაქიდან მოშორებით იპოვა.

მომხდართან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია არსებობს.

ერთ-ერთი ვერსიით, მას ავტომანქანა დაეჯახა და გარდაცვლილის ცხედარი ქალაქის გარეუბანში გადაიტანეს. მეორე ვერსიით კი ის გაძარცვულია, რადგან, როგორც გაირკვა, თანხა - 300 ევრო, რომელიც მას თან ჰქონდა, დაკარგულია.

ნონა ქისტაური ათენში 10 წელი დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა. ბერძენი სამართალდამცველები დაკარგულ გოგონას ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. ექსპერტიზის დასკვნით, ნონა ქისტაური ცემისა და თავში ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა.

ჯი-ეიჩ-ენი

ინციდენტი სოფელ ოტობაიაში

გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში აფხაზმა სეპარატისტებმა შელაპარაკების შედეგად 25 წლის მერაბ ბიგვაია დაჭრეს და უგონოდ მყოფი ორმოში ჩააგდეს. გონზე მოსვლის შემდეგ მიმე მდგომარეობაში მყოფმა ბიგვაიამ ზუგდიდის რაიონში გადასვლა მოახერხა. დაჭრილი ამჟამად ზუგდიდის საავადმყოფოში იმყოფება. ბიგვაიასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ოტობაიას ალყა შემოარტყეს, ბიგვაიების ოჯახის წევრებს კი დაემუქრნენ.

როგორც სოფელ ოტობაიას მცხოვრებლები აცხადებენ, აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სოფელში აფხაზური მილიციის ოთხი ავტომანქანა იყო შესული, რომლებმაც სოფელი გუმნი დილით დატოვეს.

მედიანიუსი

სპორტის აკადემიის საქმის განხილვა გაიმართება

საქალაქო სასამართლოში დღეს სპორტის აკადემიის საქმის განხილვა გაიმართება. სასამართლო პროცესი 20 თებერვალს უნდა გამართულიყო, თუმცა პროცესი გადაიდო. სპორტის აკადემიის წარმომადგენლის ირაკლი დოლაბერიძის განცხადებით, სასამართლო პროცესის გადადების რეალური მიზეზი საქმის განხილვის პროცესის გაჭიანურებაა.

"ყველანაირად ცდილობენ, საქმის განხილვა გადაიდოს, თუმცა იმედი მაქვს, 27 თებერვალს სასამართლო პროცესი მაინც შედგება და გადაწყვეტილებას მიიღებენ. გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, კარიგების აქტი უნდა შედგეს," - აცხადებს ირაკლი დოლაბერიძე.

აკადემიის წარმომადგენლები 2007 წლის 11 ივლისის იმ დადგენილებას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც, სპორტის აკადემია გაუქმდა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეურთდა.

პირველი

პარკირების წესების დამრღვევთა დაჯარიმება იწყება

დედაქალაქში საგზაო პრობლემების აღმოსაფხვრელად და პარკირების პრობლემების დასაგეგმვით, ტრანსპორტის დაჯარიმება იწყება. პარკირების ახალი სისტემა ამკრძალავ ნიშნთან გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმებასა და მათი სპეციალურ საჯარიმო სადგომზე გადაყვანას ითვალისწინებს.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია სითი პარკი" იმ მძღოლებს დააჯარიმებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებას პარკირების ამკრძალავი ნიშნის მოქმედების ზონაში გააჩერებენ. დაჯარიმების შემდეგ ავტომანქანას სასტუმრო "აჭარის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე ევაკუაციონით გადაიყვანენ.

დედაქალაქში სამი საჯარიმო ავტოსადგომი იქნება. ავტოტრანსპორტის ევაკუაციისთვის ფიქსირებული საფასური 60 ლარი იქნება, ხოლო ავტოსადგომზე გაჩერებისთვის ყოველდღიური გადასახადი - 10 ლარი. კომპანია "სითი პარკმა" პარკირების მოწესრიგების მიზნით გამართულ ტენდერში 2007 წელს გაიმარჯვა და პარკირების მართვის უფლება დედაქალაქის ტერიტორიაზე 15 წლის ვადით მოიპოვა.

სატენდერო პირობების თანახმად, ამოღებული თანხის 60 პროცენტი დედაქალაქის ბიუჯეტში შევა, ხოლო დანარჩენი კომპანიას დარჩება.

მედიანიუსი

ხუთწლიანი პატიმრობა ბამხმარი ხის მოჭრისთვის

გურჯაანის რაიონული სასამართლო, სამი გამხმარი ხის მოჭრისთვის ოთხი შვილის მამას, ოთარ ბერელაშვილს პატიმრობას. კახეთის საოლქო პროკურატურა ბერელაშვილს ხეების უკანონოდ მოჭრაში და ქურდობაში ადანაშაულებს და მისთვის სასჯელის მაქსიმუმს - 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს.

პროკურატურის საბრალდებო დასკვნის თანახმად, სოფელ კაჭრეთში მცხოვრებმა ოთარ ბერელაშვილმა გზის გამწვანების ზოლში უკანონოდ მოჭრა სამი ხე და ფარულად დაეფულა.

მოწმეთა ჩვენებებით და თავად განსასჯელის განცხადებით, ოთარ ბერელაშვილმა გამხმარი

ხეები კაჭრეთის ღვინის ქარხნის მეპატრონე შალვა ქებურიას მითითებით იმ ადგილზე მოჭრა, სადაც მას ავტომობილისტრილიდან ქარხანასთან დამაკავშირებელი გზა გაჰყავდა.

ქებურიამ მითხრა, მოჭერი ეგ ხმელი ხეები, გუბერნატორთან და გამგებელთან შეთანხმებული მაქვს და სახლში წაიღე, გასათბობად გამოგადგებაო. ეს არაერთხელ მითხრა და მეც მის სიტყვებში ეჭვი არ შემიტანია. მოეჭერი თუ არა, მან გზა დააგო, მე კი დამაჯარიმეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიმცეს, - ამბობს ოთარ ბერელაშვილი.

განსასჯელის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის"

ადვოკატი ნესტან ლონდარიძე იცავს. ადვოკატის თქმით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პროკურატურას დაზარალებულად გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს ჰყავდა ცნობილი, რაც დარღვევა იყო. როგორც ადვოკატი აცხადებს, ეს დარღვევა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ლია ოთარაშვილმა პროკურორ სვირა ბეგიაშვილს პროცესამდე გაასწორებინა.

ადვოკატის განცხადებით, ბერელაშვილს ქურდობა საერთოდ არ ჩაუდენია, რადგან ქებურიას მითითებით მოჭრილი ხეები სახლში დღისით, უამრავი ხალ-

ხის თანდასწრებით წაიღო და მას ფარულად არ დაუფლავია.

შესაბამისად, დანაშაულის ამ მუხლით კვალიფიკაცია არასწორია. რაც შეეხება ხეების უკანონოდ მოჭრას, 2008 წლის 21 ნოემბრის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ეს დანაშაული ამნისტირებულია და ბერელაშვილის მიმართ სისხლის სამართლის დევნა უნდა შეწყდეს," - აცხადებს ადვოკატი ნესტან ლონდარიძე.

ადვოკატის პრეტენზიებს კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი სვირა ბეგიაშვილი არამართებულს უწოდებს. პროკურორის თქმით, ბერელაშვილმა ქურდობა ჩადინა, რაზეც პასუხი უნდა აგოს.

საკუთარი ინფორმაცია

მოთხოვნა ბანაჩინის კანონიერების შესწავლაზე

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მსჯავრდებულ გიორგი გოგიტიძის საქმეზე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილსა და იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადიშვილს რეკომენდაციით მიმართავს.

როგორც სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ჩხეიძე აცხადებს, ლაპარაკია რუსთავეის №2-ე საერთო, მკაცრი და საპრობოლის რეჟიმის სასჯელსაზღვრების დაწესებულების მსჯავრდებულ გიორგი გოგიტიძის საქმეზე, რომელიც ეპილოგისთვის არის დაავადებული და მეორე ვეჯუის ინვალიდია.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან 2007 წლის 16 აპრილს თბილისში, ვაგზალზე ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე

მოქალაქე დიანა ხვედელიძეს სპორტული ჩანთიდან შეუმჩნევლად ამოაცალა ტყაყის საფულე, რომელშიც იდო ფული, პირადობის მოწმობა, ბანკის პლასტიკური ბარათი და სხვადასხვა ქვითრები. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ორი დღის შემდეგ, 18 აპრილს გიორგი გოგიტიძე დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა დაზარალებულის მითითებით დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 13 ივლისს განაჩენით, გოგიტიძეს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯავს. გოგიტიძემ თავი დამნაშავედ არ ცნო და განაჩენი ვერ თბილისის სააპელაციო, შემდეგ კი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დარჩა.

ომბუდსმენის მოადგილის გიორგი ჩხეიძის თქმით, 2007 წლის 13 ივლისს განაჩენის გაანალიზებით ირკვევა, რომ იგი მხოლოდ დაზარალებული დიანა ხვედელიძის წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენებებს ეყრდნობა. სხვა მტკიცებულებები კი საქმეში არ მოიპოვება.

კერძოდ, ხვედელიძე აცხადებს, რომ პოლიციამ შესაბამისი განცხადების გაკეთება გატყუდობისთვის ვერ მოახერხა, რადგან შვილი საფეხურით კლებს ნორჩი დინამოლის" სანვრინელ ვარჯიშზე ჰყავდა მისაყვანი. თუმცა, კლუბის დირექციის ცნობით, მისი შვილი საფეხურით სკოლაში შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩაირიცხა. ამასთან, დაზარალებულის განცხადებით, გოგიტიძემ მას სახალხო ბანკის პლასტიკური ბარათი მოპარა. ბანკის 2007 წლის 11 ივლისის ცნობით ირკვევა, რომ სახალხო

ბანკის დაკარგულ პლასტიკურ ბარათთა მონაცემთა ბაზაში დაზარალებულის გვარი არ ფიქსირდება. 23 ივლისს კი ამავე ბანკის იურიდიული დეპარტამენტის ცნობით ირკვევა, რომ ხვედელიძეს პლასტიკური ბარათის დაკარგვის შესახებ ვერ კიდევ 2007 წლის 17 აპრილს განუცხადებია, - განმარტავს გიორგი ჩხეიძე.

მისივე თქმით, სახალხო დამცველის ხელთ არსებული მასალები იმის საფუძველზე ეყრდნობა, რომ დიანა ხვედელიძემ პლასტიკური ბარათის მიღება-ჩაბარების აქტი და ბარათის დაკარგვაზე განაცხადი გააყალბა. სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრს ამ ფაქტზე გამოძიების დანერგვის რეკომენდაციით მიმართავს. იგი ასევე მოითხოვს, რომ გიორგი გოგიტიძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერება გადაიხედოს.

მედიანიუსი

მთავრობა მაგისტრანტების უცხოეთში სწავლისთვის 3,5 მლნ ლარს დახარჯავს

ქართველი სტუდენტები მაგისტრატურის კურსის გავლას უცხოეთში შეძლებენ. ამის შესახებ განათლებისა და კულტურის მინისტრმა სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ სტუდენტების მაგისტრატურაში სწავლის, არამედ მათი უცხოეთში გამგზავრებისა და საცხოვრებელ ხარჯებსაც დაფარავს. "ეს ყველაფერი საქართველოს მთავრობის დაფინანსების ფარგლებში მოხდება. სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლისთვის წელს 3,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული, უკვე შერჩეულია პრიორიტეტული მმართველები. ესენია: ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი, მედიცინა, ხელოვნება, ასევე სოციალური, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები," - განაცხადა მინისტრმა. ნიკა გილაურის განცხადებით, შერჩეულია მსოფლიოში 50-მდე საუკეთესო უნივერსიტეტი და სკოლა, რომლებიც Financial Times da Forbis -ის გამოკითხვებისა და გამოკვლევების მიერ აღიარებულნი არიან საუკეთესო სასწავლებლებლად. უნივერსიტეტებისა და სასწავლებლების სია მომავალი კვირიდან განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება. წელს არის დაფინანსების პირველი წელი და იქიდან გამომდინარე, რომ ბევრ სტუდენტს ჩაბარებული აქვს უცხოეთის მაგისტრატურაში, საქართველოს ხელისუფლება უკვე წელს სთავაზობს დახმარებას ყველა იმ სტუდენტს, რომელმაც ვერ მოიძია დაფინანსება. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მათ შეუძლიათ მიმართონ განათლების სამინისტროს და დაფინანსებას აუცილებლად მიიღებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

იყო დრო, საქართველოსთან ფედერაციულ მოწყობაზე თანახმა ვიცავით

საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ყველა დანარჩენი საკითხის გადაჭრის გზა იქნებოდა, - აცხადებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. მისივე თქმით, იყო დრო, როდესაც აფხაზეთი საქართველოსთან ფედერაციულ მოწყობაზე იყო თანახმა, თუმცა საქართველომ მაშინ აფხაზეთის ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა და აფხაზეთთან ომი დაიწყო. "ომის შემდეგ ჩვენ კვლავ მივუსხედით მოლაპარაკებათა მაგიდას და უკვე კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნაზე დავიწყეთ დოკუმენტების მომზადება. თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ასევე უარი თქვა ამ დოკუმენტის ხელმოწერაზე," - აცხადებს შამბა. მისივე თქმით, ამის შემდეგ საქართველომ აფხაზეთის წინააღმდეგ უკვე 1998, 2001 და 2006 წლებში ახორციელა აგრესიისა და კოორდინირებული სამხედრო ძალა შეტყავეს. "ყოველივე ამან ძალიან შეცვალა არსებული სიტუაცია და დღეს უკვე თანაცხოვრების რაიმე ერთობლივ ფორმაზე საუბარიც კი ზედმეტია და არარეალურია. ჩვენ ამჟამად მხოლოდ კეთილშეზობლივი ურთიერთობების დამყარებაზე უნდა ვიზრუნოთ," - აცხადებს სერგეი შამბა და აღნიშნავს, რომ აფხაზეთი ოცნებობს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე. "საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ეს ჩვენი დიდი ოცნებაა, მაგრამ ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, მისთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის ახალი ურთიერთობების დამყარებამდე მიგვიყვანდა," - აცხადებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი.

ჯი-ეიჩ-ენი

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის ფართების დაკანონება დაიწყო

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დაიწყო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის ფართების დაკანონება. დაკანონება და ფართების საკუთრებაში გადაცემა ხდება ინდივიდუალურად, დევნილის სურვილის მიხედვით. აფხაზეთიდან დევნილები ხდებიან ფართების მესაკუთრეები, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ ექნებათ ქონების განკარგვის უფლება თავიანთი შეხედულების მიხედვით. ზემოთ ხსენებული პროცესი, რომელსაც მთლიანად ახორციელებს სახელმწიფო, საკმაოდ შრომატევადია და გულისხმობს დევნილი მოსახლეობის ინდივიდუალურებას, ფართების აზომვას, მოსაკრებლების გადახდის ორგანიზებას და სხვა. პროცესში ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო ქსელი, დიპლომატიური კორპუსი და დონორი ორგანიზაციები.

ჯი-ეიჩ-ენი

სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება

საზოგადოებრივი ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი ამა თუ იმ მიზეზების გამო საჭიროებს რჩენასა და შესაბამის მოვლა-პატრონობას, თუმცა მას არ შეუძლია ამის მიღება რჩენისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა (მაგალითად შვილები-საგან, მშობლებისაგან, მეუღლისაგან ან სხვა პირებისაგან) ან სურს, რომ მოვლა-პატრონობა გაუწიონ სხვა პირებმა. სწორედ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობებს აწესრიგებს **სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება**.

სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება მხარეს (სარჩენს) შესაძლებლობას აძლევს, გარკვეული ვალდებულების სანაცვლოდ (ქონების გადაცემა) ხელშეკრულებით დაადგინოს მისთვის მისაღები რჩენის წესი. აღნიშნულით იგი სახელშეკრულებით ურთიერთობებში შედის ხელშეკრულების მეორე მხარესთან - მარჩენალთან და უფლება აქვს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო წესით მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება და შესაბამისად, საკუთარი უფლებების დაცვა. რაც შეეხება მარჩენალს, მას ამ ხელშეკრულებით უფლება აქვს, რჩენის სანაცვლოდ მოითხოვოს შეთანხმებული ქონების გადაცემა, ამასთან ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, შესასრულებელი ვალდებულება - რჩენა, არაექვივალენტურია გადასაცემ ქონებასთან შედარებით.

ამდენად, სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებას ახასიათებს მიზნობრიობა. მის განმსაზღვრელ მიზანს წარმოადგენს ქონების მესაკუთრის რჩენა, ხოლო ამის სანაცვლოდ მისი ქონების საკუთრებაში მიღება. **სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მარჩენალი და სარჩენი.** ამ ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების ერთი მხარე - მარჩენალი, ვალდებულებას იღებს გადაუხადოს სარჩო მეორე პირს - სარჩენს, ხოლო სარჩენი მას საკუთრებაში გადასცემს გარკვეულ ქონებას. ამასთან, ეს ქონება შესაძლებელია იყოს როგორც მოძრავი (ავტო, ავტომობილქანა, ძვირფასეულობა და სხვა), ასევე უძრავი ქონება (ბინა, მიწის ნაკვეთი და სხვა). სარჩოს გადახდა, როგორც წესი, ხდება სარჩენის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მხარეებმა ხელშეკრულებით შესაძლებელია რჩენის განსხვავებული ვადაც დაადგინონ - (გარკვეული წლები, სარჩენის რჩენა მისი ავადმყოფობის განმავლობაში და სხვა). სარჩო შესაძლებელია დადგინდეს როგორც ფულადი, ასევე ნატურალური სახით - ბინით, კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულადი. სარჩოს ოდენობასა და მისი გადახდის წესს მხარეები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ.

სამისდღეობიო რჩენის ინსტიტუტი საქართველოში ჯერ კიდევ ძველი სამოქალაქო კანონმდებლობიდან მომდინარეობს. იგი გათვალისწინებული იყო საქართველოს 1964 წლის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც. თუმცა ამ ხელშეკრულებამ ახალ სამოქალაქო კოდექსში გარკვეული სახეცვლილებები განიცადა. კერძოდ, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, ამ ხელშეკრულებას ეწოდებოდა გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება სახლის გასხვისების პირობით და

ამჟამად მოქმედი სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულად შემდეგი ნიშნებით:

- კანონმდებლობის თანახმად ხელშეკრულება შესაძლებელია დადებულიყო მხოლოდ სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით;
- ამ ხელშეკრულების დადება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარჩენი წარმოადგენდა შრომისუუნარო პირს (ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო);
- სარჩენის მიერ რჩენის სანაცვლოდ მარჩენალისათვის გადასაცემი ქონება შესაძლებელია ყოფილიყო მხოლოდ სახლი ან მიწა ნაწილი;
- მარჩენალისათვის დაკისრებული ვალდებულებას კი წარმოადგენდა სარჩენის გარდაცვალებამდე უზრუნველყოფა მხოლოდ ნატურით - ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ხელშეკრულების ობიექტად არ ითვალისწინებდა სარჩენის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ამჟერად კი, მოქმედი კანონმდებლობა არც ერთ ზემოთ მითითებულ შეზღუდვას აღარ ითვალისწინებს:

- როგორც აღინიშნა, მითითებული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც სამისდღეობიოდ, ასევე განსაზღვრული ვადითაც;
- პირის მიერ სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების დადება დამოკიდებული არ არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სარჩენს ამ ხელშეკრულების დადება შეუძლია ყველა შემთხვევაში, თუნდაც მატერიალური სიღატაკის გამო;
- სარჩენის მიერ მარჩენალისათვის გადასაცემი ქონება შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უძრავი, არამედ მოძრავი ქონებაც;
- მარჩენალის მიერ რჩენის ვალდებულება, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლოა გამოიხატოს როგორც სარჩენის ნატურით უზრუნველყოფაში, ასევე მის ფინანსურ დახმარებაშიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იმისათვის, რომ სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება ნამდვილად ჩაითვალოს, იგი უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ხოლო თუ საქმე ეხება მარჩენალისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას, ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს შესული ცვლილებების თანახმად, უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებები აღარ საჭიროებს სანოტარო ფორმას და მათი ნამდვილობისათვის საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმაც კი, თუმცა ეს ცვლილება სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებას არ შეეხება. სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენს მარჩენალისათვის უძრავი ქონების გადაცემა, უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. ეს განპირობებულია სწორედ ამ ხელშეკრულების ბუნებით. ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისას მხარეთათვის უფრო მეტადაა უზრუნველყოფილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება მოვალეობებისა და თავად ხელშეკრულების შინაარსის გაგება, რაც განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულების, სანოტარო წესით დამონმებისას ნოტარიუსის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულების შინაარსის მხარეთათვის გაცნობა. ამ შემთხვევაში კი კანონმდებელი სწორედ რომ ხელშეკრულების სანოტარო

ფორმის მეშვეობით ცდილობს დაიცვას მხარეთა - მით უფრო სარჩენის ინტერესები.

როგორც აღინიშნა, სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებით ხდება ამა თუ იმ ქონების საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, ეს **ხელშეკრულება განსხვავდება ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) და ჩუქების ხელშეკრულებისაგან.**

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხელშეკრულებისას თანხის გადახდა მყიდველს წარმოუშობს შეუზღუდავ უფლებებს ამ ქონების მიმართ. მას უფლება აქვს, შემდგომში საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, იპოთეკით დატვირთოს) ეს ქონება, ხოლო **ჩუქების ხელშეკრულების** დროს ამ ხელშეკრულების გაფორმება საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ დასაჩუქრებულს წარმოეშვას ასევე შეუზღუდავი საკუთრების უფლება ქონებაზე. როგორც ნასყიდობის, ასევე ჩუქების ხელშეკრულების დროს გამსხვისებელი (გამყიდველი, მჩუქებელი) ხელშეკრულების გაფორმებისთანავე კარგავს ყოველგვარ უფლებებს ამ ქონებაზე.

რაც შეეხება სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებას, იგი მართალია, წარმოადგენს საკუთრების გადაცემის ერთ-ერთ საშუალებას, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. **სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მართალია, ხელშეკრულების ერთი მხარე - სარჩენი, ხელშეკრულების მეორე მხარეს - მარჩენალს საკუთრებაში გადასცემს გარკვეულ ქონებას, მაგრამ საკუთრების უფლება ამ შემთხვევაში ატარებს შეზღუდვებს.** სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებას, ასევე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სამისდღეობიო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქონება გადადის მარჩენალის საკუთრებაში, მას უფლება არ აქვს სარჩენის სიცოცხლეში გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. ამისათვის მას ესაჭიროება სარჩენის წერილობითი თანხმობა. **აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მარჩენალი სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაზე საკუთრების აბსოლუტურ უფლებას მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასრულების შემდეგ, ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ მარჩენალი ანუ ქონების კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას - დაუშვებელია მარჩენალის ვალდების გამო გადახდევინება მიექცეს ამ ქონებაზე. შესაბამისად, დანტერესებულ პირს (მაგალითად გამსხვისებულს) უფლება არ აქვს, საკუთარი ვადამოსული მოთხოვნილებების (მაგალითად ვალის დაბრუნება) შესრულების მიზნით, მოითხოვოს მარჩენალის სახელზე, სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლებით აღრიცხული ქონების იძულებითი რეალიზაცია (გაყიდვა).**

სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე და სხვა პირთა ნების გათვალისწინება მასში არ ხდება. **თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლოა სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო გახადოს მესამე პირებმა.** კერძოდ, სამისდღეობიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ იმ პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი სხვა პირის სასარგებლოდ იხ-

დის ასეთ სარჩოს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შრომისუუნარო მშობლებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, უფლება აქვთ სარჩო მოითხოვონ საკუთარი სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილებისაგან. თუმცა მშობელი ვერ ახორციელებს ამ უფლების რეალიზაციას იმის გამო, რომ შვილს სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული აქვს ვალდებულება არჩინოს სხვა პირი და უხადოს მას გარკვეული სარჩო. ასეთ შემთხვევაში მშობელს უფლება ქვს, სადავო გახადოს სხვა პირისათვის სარჩოს გადახდის ფაქტი და მოითხოვოს სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულების გაუქმება (მოშლა). ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება დაუბრუნდება სარჩენს. გასათვალისწინებელია ის, რომ ასეთ შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს მარჩენალის მიერ უკვე გაწეული ხარჯების უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება მარჩენალს მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს. იგი ვალდებულია იმ შემთხვევაშიც კი შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, თუ მოხდება მისთვის რჩენის სანაცვლოდ გადაცემული ქონების შემთხვევითი დაღუპვა ან დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ ქონების დაზიანება მოხდება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ბრალეული ქმედებით, პასუხისმგებლობაც დაეკისრება ამ მხარეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად ითვალისწინებს სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებაზე უარის თქმას, თუმცა კანონმდებელი ამას გარკვეულ მიზეზებს უკავშირებს. კერძოდ, როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს, ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას. კანონმდებლის მიერ მითითებული ეს გარემოებები შეიძლება ითქვას შეფასებითი ცნებებია და მათი არსებობა-არარსებობა ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა იქნეს დადგენილი.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები უარს იტყვიან სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულებაზე, მარჩენალისათვის გადაცემული უძრავი ქონება უბრუნდება სარჩენს, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეულ ხარჯებს, ის მარჩენალს არ აუნაზრადდება, თუმცა მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებით გათვალისწინონ ამ ხარჯების დაბრუნების შესაძლებლობაც.

კანონმდებლობით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც მარჩენალი სარჩენზე ადრე გარდაიცვლება. მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში რჩენის ვალდებულება ავტომატურად არ წყდება და იგი გადადის მარჩენალის იმ მემკვიდრეზე, რომელმაც მიიღო ხელშეკრულების სანაცვლოდ გადაცემული ქონება. იმ შემთხვევაში, თუ ეს მემკვიდრე უარს იტყვის რჩენის ვალდებულების გაგრძელებაზე, ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს სამისდღეობიო რჩენის ხელშეკრულება წყდება.

ამერიკული რაკეტები კოლონეთში

ვაშინგტონი აღმოსავლეთ ევროპაში თავისი გეგმების განხორციელებას განაგრძობს

მარიკა იაშვილი

აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების აღმოსავლეთ ევროპაში დამონტაჟების ბედი ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა "პატრიოტი" ტიპის ამერიკული რაკეტები პოლონეთში მაინც განთავსდება. საჰაერო თავდაცვითი სისტემების შესახებ კონკრეტული სიახლეები და გადაწყვეტილებები მხარეებს ჯერჯერობით არ მიუღიათ, რადგან პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია ამ საკითხს ჯერ კიდევ განიხილავს. ასეთი განცხადება პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ ვაშინგტონში, სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

"ლაპარაკია რაკეტა "პატრიოტი" ჯერ დროებით, ხოლო შემდეგ მუდგან განთავსებაზე," - დააზუსტა სიკორსკიმ.

დოკუმენტს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების პოლონეთის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ და პოლიტიკურ დეკლარაციას ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გასული წლის 20 აგვისტოს მოაწერეს ხელი.

ვაშინგტონი 2013 წლამდე პოლონეთის ტერიტორიაზე 10 რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებას გეგმავს, ხოლო ჩეხეთის ტერიტორიაზე, ვაშინგტონის გეგმებით, 2011 წლამდე საჰაერო თავდაცვის სისტემის რადარი დამონტაჟდება, რომლის ექსპლუატაცია ამჟამად წყნარ ოკეანეში მდებარე ატოლ კვაჯალეინზე მიმდინარეობს. ბაზა პოლონეთში ქალქ სუპსკადან 5 კილომეტრის დაშორებით აშენდება.

პოლონური მხარის მოთხოვნით ამერიკამ აიღო ვალდებულება პოლონეთის მისცეს საჰაერო თავდაცვითი რაკეტები "პატრიოტი", რომელთა ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად პოლონეთში ამერიკული სამხედრო ქვედანაყოფები ჩავლენ. საგანგებოდ მათთვის ქვე-

ყანაში კიდევ ერთი სამხედრო ბაზა აშენდება.

საზენიტო სარაკეტო კომპლექსები "პატრიოტი" მსხვილი ადმინისტრაციული, სტრატეგიული და სამხედრო ობიექტების საჰაერო თავდაცვების განდაცვისთვის არის გამიზნული. კომპლექსს ერთდროულად 100 საჰაერო სამიზნის აღმოჩენა და 8 მათგანის ერთდროულად გაუფრთხილება შეუძლია.

ვაშინგტონში აცხადებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსების მიზანი ირანის მხრიდან შესაძლო სარაკეტო საფრთხის თავიდან აცილებაა.

პროექტს ოპონენტებიც ჰყავს. ვაშინგტონის გეგმებმა რუსეთის ფედერაციის გალიზინანება გამოიწვია. მოსკოვი ფიქრობს, რომ ეს სისტემები მისი უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს. მოსკოვი, გავრცელებული ინფორმაციით, ვაშინგტონის საპასუხოდ კალინინგრადში სარაკეტო სისტემა "ისკანდერის" განთავსებას გეგმავს და ამერიკული რადარების

სისტემების რადიოელექტრონული სისტემების გამოყენებით ჩახშობას აპირებს.

რუსეთის მხრიდან ასეთი მწვავე რეაქციის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ შესაძლოა ევროპაში თავდაცვითი სისტემების განთავსებაზე უარი თქვას. თუმცა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი თავისი გეგმების რეალიზაციას განაგრძობს.

ვარშავაში ამტკიცებენ, რომ პოლონეთში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება მთლიანად ვაშინგტონზეა დამოკიდებული. **"ჩვენ არ გვინდა, ვუბიძგოთ აშშ-ს რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებისკენ, მაგრამ მე ღიად უნდა გამოვთქვა იმედი, რომ აშშ რეალურად შესრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც გასულ წელს, საკმაოდ პომპეზურ ვითარებაში იკისრა,"** - აცხადებს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ბოგდან კლიხი.

პუტინის ყოფილი მრჩევლის მოსაზრება

რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ყოფილ მრჩეველ ანდრეი ილარიონოვის განცხადებით, აშშ-ს მიერ რუსეთთან რაიმე სახის კომპრომისზე წასვლა მსოფლიოს კატასტროფამდე მიიყვანს. როგორც ილარიონოვმა აშშ-ს კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისადმი მიძღვნილ მოსმენაზე განაცხადა, "რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა არ არის და აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია მასთან არც ერთ კომპრომისზე არ უნდა წავიდეს, რადგან ეს რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას მხოლოდ წაახალისებს, მსოფლიოს კი კატასტროფამდე მიიყვანს".

"აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებამ იმის შესახებ, რომ ის მზად არის, რუსეთთან ურთიერთობა ახალი ფურცლიდან დაიწყოს, მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები გაახარა, რომელთა ხელშიც არის დღეს რუსეთი. აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან არც ერთ კომპრომისზე არ უნდა წავიდეს.

როცა მსოფლიო კატასტროფაში აღმოჩნდება, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ამის შესახებ გავრთხილებდნენ," - განაცხადა თავისი გამოსვლის დასასრულს პუტინის ყოფილმა მრჩეველმა.

პირველი

რუსეთი უკრაინას გაზის მიწოდების შეწყვეტით ემუქრება

"კომერსანტის" ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ "ნავთოგაზ-უკრაინა" თებერვალში მიწოდებული ნედლეულის საფასურს 7 მარტამდე არ გადაიხდის, რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შესაძლოა, 8 მარტს ისევ შეწყვიტოს. რუსეთის მონოპოლიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი კრუგლოვის განცხადებით, ამ დროისთვის უკრაინას 400 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დავალიანება აქვს.

ცნობისთვის, 2009 წლის 1 იანვარს "გაზპრომმა" უკრაინას შესაბამისი კონტრაქტის არარსებობის გამო გაზის მიწოდება შეწყვიტა. რუსეთ-უკრაინის კომერციული კონფლიქტის მიზეზით 7-დან 19 იანვრამდე გაზის გარეშე ევროპის დიდი ნაწილიც დარჩა.

პირველი

ვლადიკავკაზში სამგზავრო მატარებელში აფეთქება მოხდა

ვლადიკავკაზში სამგზავრო მატარებელში მომხდარი აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. "ვლადიკავკაზი-მოსკოვის" მიმართულებით მოძრავი მატარებლის ვაგონ-რესტორანში გაზის ბალონი აფეთქდა.

როგორც როსტოვის ოლქის სამართალდამცველ ორგანოებში აცხადებენ, აფეთქების შედეგად 6 ადამიანი დაზარალდა. თუმცა, დაშავებულთა რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. დაღუპულია მხოლოდ ერთი ადამიანი. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს.

პირველი

გერმანიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ირანის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცრეს

გერმანიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ირანის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცრეს. მათ სპეციალური სია შეადგინეს, სადაც შეიყვანეს 34 ირანული ორგანიზაცია და 10 მეცნიერი, რომლებიც დაკავშირებული არიან ატომურ პროგრამასთან. ამ ორგანიზაციებთან და მეცნიერებთან ყველანაირი კონტაქტი აკრძალულია.

ევროპელი დიპლომატები მიიჩნევენ, რომ ამ ნაბიჯმა ირანთან მომავალ მოლაპარაკებებზე ბარაკ ობამას პოზიციები უნდა გაამყაროს. მაგრამ არის მოსაზრება, რომ ეს ირანის შესახებ დეკლარაციის ტექსტის გამკაცრების მცდელობაა, რომელიც ამ დღეებში აშშ-ში უნდა წარმოადგინონ.

აღნიშნული დოკუმენტის მომზადების პროცესში ევროკავშირის ქვეყნებს შორის აზრი გაიყო. საბერძნეთი, კვიპროსი, ავსტრია, შვედეთი და ესპანეთი ამ დოკუმენტის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ. დიდი ბრიტანეთი მიიჩნევს, რომ სიას მეტი მნიშვნელობა ექნება, თუ ის ამერიკის პოზიციას დაემთხვევა. "შავ სიაში" შესული ორგანიზაციების სახელები მანამდე გაერო-სა და აშშ-ს დოკუმენტებში უკვე ფიგურირებდნენ, თუმცა აქ მოხვედრილი კერძო პირების გვარები პირველად არის ნახსენები.

ჯი-ეიჩ-ენი

ბანგლადეში მისაზღვრეთა აჯანყებას 50 ოფიცრის სისროსხლე შეენირა

მარიკა იაშვილი

"თუ აჯანყებულები იარაღს დაუყოვნებლივ არ დაყრიან, ჩვენ უკიდურეს ზომებს მივმართავთ," - ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი მეამბოხე მესაზღვრეების მიმართ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. "ნუ ცდილობთ ჩვენი მოთმინების გამოცდას და ნუ გვაიძულებთ, მკაცრი ზომები მივიღოთ," - აცხადებს პრემიერ-მინისტრი ჰასინა ვაზედი.

ბანგლადეშის პრემიერის შემოფოთება იმან გამოიწვია, რომ აჯანყება უკვე დედაქალაქის ფარგლებს გასცდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ რიგითმა ჯარისკაცებმა კონტროლი, სულ მცირე, 12 ქალაქისა და დასახლებული პუნქტის ყაზარმებზე დაამყარეს.

მეამბოხეებს უფროსი ოფიცრები ან მძევლად აჰყავთ, ან ყაზარმებიდან ყრიან. ზოგი მესაზღვრის განცხადებით, არსებობს საშიშროება, რომ ქვეყნის რეგულარული ძალები მათი განიარაღების ბრძანებას მიღებენ. ბანგლადეშის სასაზღვრო ძალებში სულ 40 ათასი სამხედრო მსახურობს, რომლებიც 42 გარნიზონში არიან გადანაწილებულნი.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, მესაზღვრე ჯარისკაცების მიერ მოწყობილი აჯანყების შედეგად ოფიცრის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებს შორის დაღუპულთა რაოდენობამ შესაძლოა 50-ს მიაღწიოს. დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ქვეყნის იუსტიციის მინისტრის მოადგილე კამრულ ისლამი ავრცელებს.

"ბანგლადეშის სასაზღვრო ძალების შტაბის კომპლექსში, პილკხანის რაიონში, მოუწესრიგებელი სროლის შედეგად, დაახლოებით, 50 ადამიანი გარდაიცვალა," - განაცხადა



მან.

უფრო ადრე დედაქალაქში ვრცელდებოდა ინფორმაცია 5 დაღუპულისა და 15 დაჭრილის შესახებ. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოები ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს აქვეყნებდნენ.

მეამბოხეებმა იარაღის დაშვებაზე თანხმობა მას შემდეგ განაცხადეს, რაც პრემიერ-მინისტრმა ჰასინა ვაზედმა მათ ამნისტია შესთავაზა. მეამბოხეთა 15-კაციანი ჯგუფი მასთან მოსალაპარაკებლად გაემართა.

ჯარისკაცებმა ბუნტი ხელფასის გაზრდის მოთხოვნით დაიწყეს. წინასწარი ინფორმაციით, 25 თებერვლის დილას აჯანყებულ ჯარისკაცთა ჯგუფმა ყაზარმები დატოვა და

იმ შტაბში შეიჭრა, სადაც მეთაურების თათბირი მიმდინარეობდა და გაზრდილი ხელფასის გაცემის საკითხი განიხილებოდა. აჯანყებულებმა ოფიცრებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა.

ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლებიც კი დახურეს. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაითიშა მობილური ოპერატორების ქსელები. როგორც ბანგლადეშის სატელეფონო კომუნიკაციების სააგენტოში აცხადებენ, ეს აჯანყების უფრო ფართოდ გავრცელების თავიდან ასაცილებლად მოხდა.

გაუაღრდა დაუდასტურებელი ინფორმაცია აჯანყების ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გავრცელების შესახებაც.

დაუზუსტებელი მონაცემებით, ზოგ რაიონში მათ გზები გადატეკეს, თუმცა ცეცხლი არ გაუხსნიათ, ზოგან კი რეგულარულ ჯართან შეტაკებებიც მოხდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონის მუღიგბაზარის პოლიციის უფროსის განცხადებით, აჯანყებულები უმისამართოდ ისვრიან.

როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი ჰყვება, აჯანყებულები აცხადებენ, რომ ხელში იარაღის აღება მათ ოფიცერთა დამოკიდებულებამ აიძულათ. "შესაძლოა, ჩვენს ოჯახებს ჩვენი საქციელის გამო პრობლემები შეექმნათ, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ გვქონდა," - ამბობენ ისინი.

საშტაბის აჯანყებულთა მუშაობა

ნატო-ს გენერალური მდივანი 27 მარტს მოსკოვში მიიწვიეს

ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი 27 მარტს მოსკოვში მიიწვიეს. როგორც ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, "რუსულმა მხარემ ნატო-ს გენერალური მდივანი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე დასასწრებად მიიწვია, რომელზეც ავღანეთში შექმნილი სიტუაციის განხილვა იგეგმება." მიიღებს თუ არა სხეფერი რუსული მხარის მიწვევას, ჯერჯერობით უცნობია.

პირველი

ისრაელში, დასახლება სდეროტში საცხოვრებელ სახლს რაკეტა დაეცა

ისრაელში ნაგევის დასავლეთით მდებარე დასახლება სდეროტში საცხოვრებელ სახლს რაკეტა დაეცა, რამაც მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. დაჭრილების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა რამდენიმე მოსახლემ ფსიქოლოგიური შოკი მიიღო, რის გამოც სამედიცინო დახმარება დასჭირდა. მეორე რაკეტა რაიონული საბჭოს ტერიტორიაზე ღია ადგილას ჩამოვარდა და მას ზარალი არ მოჰყოლია. ორი დღის წინ ისრაელის სამხედრო სავიაციო ძალებმა სარაკეტო დარტყმები ლაზის საზღვართან მდებარე მინსიქევმა გვირაბებს მიაკეთეს. ლაზის მხრიდან დღევანდელ სარაკეტო იერიშზე ისრაელს, სავარაუდოდ, ანალოგიური პასუხი ექნება. ლაზაში სამხედრო ოპერაციის დასრულებიდან 40 დღის შემდეგაც ისრაელის ტერიტორიაზე დღემდე ერთი ან ორი სარაკეტო დარტყმა აუცილებელ ნორმად იქცა. ისრაელის უშიშროების სამსახურები ვარაუდობენ, რომ ლაზაში ახალი სამხედრო ოპერაციის დაწყება მხოლოდ დროის საკითხია. თუმცა ეს დრო უფრო და უფრო მცირდება. მომავალ კვირას კაიროში ლაზას ალდგენის გეგმა დამტკიცდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსოფლიო საზოგადოება გაგებით შეხედვს ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის კვლავ განადგურებას.

ჯი-ეიჩ-ენი

თოთხმეტი სახელმწიფოს დიპლომატების შეთანხმება

მსოფლიოს თოთხმეტი სახელმწიფოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრებმა და დიპლომატებმა ხელი მოაწერეს ლონდონის გაზეთ "ტაიმსში" გამოქვეყნებულ ღია წერილს, სათაურით "ჰამასის" გარეშე მშვიდობა არ იქნება". წერილში ნათქვამია, რომ ჰამასთან მოლაპარაკებების უგულებელყოფით მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია. წერილის ავტორები აშშ-სა და ისრაელს "ჰამასის" ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების დალაგებისკენ მოუწოდებენ. ხელმომწერთა შორისაა ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი შლომო ბენ-ამი. ლაზაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ "ჰამასის" იზოლაცია მდგომარეობის სტაბილიზაციას არ მოიტანს. წერილში ასევე ნათქვამია, რომ აუცილებელია ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრისთვის მიდგომები გადაიხედოს და პოლიტიკურ პროცესებში "ჰამასიც" ჩაერთოს. "მიზნის მისაღწევად საჭიროა მოლაპარაკებები აწარმოოთ არა მეგობრებთან, არამედ მტერთან. "ჰამასი" პოლიტიკური პროცესების მონაწილე უნდა გახდეს," - აცხადებენ წერილის ავტორები.

ჯი-ეიჩ-ენი

სიკორსკი ნატო-რუსეთის თანამშრომლობის დონეს არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს

ნატო-ს გენერალური მდივანობის კანდიდატი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი ნატო-რუსეთის თანამშრომლობის დონეს არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. მისი განცხადებით, რუსეთი ნატო-ს ინტერესთა სფეროებისთვის ბრძოლის თვალთახედვით კვლავ ძველი პოზიციიდან აღიქვამს. "ნატო-სთან ურთიერთობებში რუსული სამხედრო სტრუქტურების გადალახვა იმაზე მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. რუსეთსა და ევროატლანტიკურ კავშირს შესაძლოა სხვადასხვა სფეროში ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები ჰქონდეთ, მაგრამ რუსეთი უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია უზარმაზარი პოტენციალით," - განაცხადა სიკორსკიმ საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოზე სიტყვით გამოსვლისას. მისივე თქმით, აუცილებელია რუსეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობის სრულად გამოყენება იმ სფეროებში, სადაც მათი ინტერესები იკვეთება, მათ შორის - ტერორიზმთან და ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის ან მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობისა და ჩვენი ქვეყნების განვითარების სტაბილური პირობების შექმნაში.

პირველი

უკრაინა - პოლიტიკური კრიზისის პირას

პირველი გვირგვინი

"მე არასდროს მივცემდი თავს უკრაინის მოქმედი პრეზიდენტის, ჩემი მემკვიდრის მკვეთრი კრიტიკის უფლებას, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ თქვენ აღარ შეგიძლიათ მდგომარეობის გამოსწორება, პარლამენტთან ერთად ხელისუფლების მოქმედი, ეფექტური სისტემის შექმნა და კარგეთ რა უკრაინელი ხალხის ნდობა და თანადგომა, შეგნებულად მოცილეთ თავიდან მთავრობა, დაშალეთ საპარლამენტო კოალიცია, თქვენ და კარგეთ დასაყრდენი, რომლის გარეშეც შეუძლებელია წესრიგის დამყარება. ხელისუფლება, ფაქტობრივად, დაშლილია, ხოლო კრიზისის გადალახვა ხელისუფლების ეფექტური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია..." გამოსავალი მხოლოდ ერთია - უკრაინის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები. სწორედ ამას მოითხოვს დღეს ადამიანების უმრავლესობა..." ნათქვამია მიმართვაში. ყოფილი პრეზიდენტი იუშენკოს ბრალს სდებს ეკონომიკის არასწორ მართვაში, ეროვნული ვალუტის "გაფუჭებაში" და ა.შ. ასხენებს, რომ თავის დროზე არც მას უნდოდა ვადამდე თანამდებობიდან წასვლა, მაგრამ უკრაინის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობამ ასე გადააწყვეტინა...

ვიქტორ იუშენკომ მეორე დღესვე "ასოშიტედ პრესსთან ინტერვიუში და საკუთარი პრეს-ცენტრის მეშვეობით უპასუხა ამ მოწოდებას. "წარსულიდან ძალიან ბევრ "გმირს" ამოქექავენ, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში იმუშავებენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნაფტალინდამ არ უნდა ამოვიღოთ ის პოლიტიკოსები, რომლებმაც თავისი ისტორიული დრო გაიარეს." "ის პოლიტიკოსები, რომლებიც ლეონიდ კრავჩუკს რუპორად იყენებენ, მას ძალიან ცუდ სამსახურს უწევენ. ამორალურია ტანკის ქვეშ მოხუცების შეგდება," - განაცხადა იუშენკომ. უკრაინის პრეზიდენტმა არაპირდაპირ, მაგრამ ფაქტობრივად გამოიკვლია ვადამდე გადადგომის შესაძლებლობა და ოპონენტებს პოპულისტები უწოდა. მან კრავჩუკს პერიოდის პრობლემებიც გაიხსენა და ამით, ცხადია, თავისი წინამორბედის სიტყვების დაკნინებაც სცადა.

უკრაინის პირველი პრეზიდენტის მონობა ორი დღეა, ქვეყანაში მთავარ განსახილველ



ვიქტორ იუშენკო.

თემად იქცა. ის, რაზეც იუშენკომ მიანიშნა, მისმა მომხრეებმა და სხვა პოლიტიკურმა ძალებმა განაცხადეს. კრავჩუკი და მისი ან უკვე დასუსტებული პარტია (უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც კუჩმას დროინდელი გავლენიანი ფიგურა ვიქტორ მედვედჩუკი ხელმძღვანელობს) იულის ტიმოშენკოს ინტერესების ლობირებაში დაადასუაულეს. სხვათა შორის, კრავჩუკის მონობებისა და საკუთარი იდეების თანხვედრა არც იულის ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენლებს უარუყვიათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომენტარების გამო მოთქმისას ყველა თავის ინტერესს იცავდა და პოპულიზმს ფაქტობრივად ვერც ერთი ძალა ვერ ასცდა.

პრეზიდენტის მომხრე ფრაქციის წარმომადგენელმა დეპუტატმა ქსენია ლიაპინამ აღნიშნა, რომ კრავჩუკის განცხადება მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების ნაწილია და ამით იულის ტიმოშენკოს სურს, ხალხის ყურადღება ეკონომიკური პრობლემებიდან ანუ საკუთარი პერსონიდან სხვა თემებზე გადაიტანოს.

იანუკოვიჩის მხარდამჭერი რეგიონების პარტიის წარმომადგენელმა ანა გერმანმა ყურადღება ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე გადაიტანა, გააკრიტიკა პრეზიდენტიც და პრემიერიც. მას მიაჩნია, რომ იუშენკოს გადადგომას ტიმოშენკოს გადადგომაც უნდა მოჰყვეს.

ლეონიდ კრავჩუკის მონობა უკრაინელი ერის ხმა"

უნდა ვალერი პისარენკომ (იულია ტიმოშენკოს ბლოკი). მან თქვა, რომ პირველი პრეზიდენტი აბოლოტურად გულწრფელია. მისი აზრით, ეს ყოფილი პრეზიდენტის მეორე ვაჟაკაური ნაბიჯია, პირველი იყო მისი გადადგომა კრიზისული სიტუაციის დროს.

"ერთიანი ცენტრის" პრეზიდენტის წევრმა, დეპუტატმა ვასილი პეტროვკამ განაცხადა, რომ საექვოდ ემთხვევა ერთმანეთს იუშენკოს ვადამდელი გადადგომის მოთხოვნა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას, რაც წინა დღეს საქართველოს პრეზიდენტის ოპოზიციამ გააცხადდა. პეტროვკამ ხალხს მოუწოდებდა, დაეჭირებინათ, თუ ვის აძლევს ხელს ისედაც რთული სიტუაციის დამძიმება ამ ორ ქვეყანაში.

იუშენკოს გადადგომას მხარი სხვებმაც დაუჭირეს, იგივე პარტია "პრატსტვოს" ლიდერმა ალექსანდრ კორჩინსკიმ, თუმცა არიან ისეთი ნეიტრალური ფიგურებიც, მაგალითად წინა მონვევების დეპუტატი გიორგი კრიუჩკოვი, რომელიც მიიჩნევს, რომ იუშენკო უნდა გადადგეს, რადგან საქმეს კარგად ვერ უძღვება, მაგრამ მას თვით კრავჩუკთანაც აქვს პრეტენზიები და აცხადებს, რომ პირველმა პრეზიდენტმა ტყუილად მოიგო ერის მამის მანტია.

საკითხის განხილვა გუშინ გაგრძელდა. თავისი პოზიცია გამოხატა უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ვლადიმერ ლიტვინმა. მისი აზრით, ოფიციალურად უნდა დაინიშნოს არჩევნების თარიღი კონსტიტუციური

ვადების გათვალისწინებით - 2010 წლის 17 იანვარს. ეს გარკვეული შუქურის როლს შეასრულებს და ყველა დაწყნარდება. ის, რომ ასეთი საერთო ნება არ არსებობს და დადგენილებს პროექტი უმაღლეს რადაში ჯერ არ შემოსულა, იმას მიანიშნებს, რომ ბევრს სხვა მიზნები აქვს.

იუშენკოს უპასუხა ლეონიდ კრავჩუკმა. მან გაიმეორა თავისი არგუმენტები, აღნიშნა, რომ მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ პირადული მოტივი არა აქვს, რომ მის პოზიციას ამყარებს ხალხთან შეხვედრები და სოციოლოგიური გამოკითხვები. პირველი პრეზიდენტის აზრით, ვიქტორ იუშენკოს მისთვის არგუმენტირებული პასუხი არ გაუცია, არ არის მიზანშეწონილი ნაფტალინებზე და ტანკებზე ლაპარაკი. "თუ იუშენკოს თავი ტანკი ჰგონია, ეს ასე არ არის. ტანკი, რომელსაც სროლა არ შეუძლია, არავის სჭირდება," - განაცხადა კრავჩუკმა. მან პრეზიდენტს ურჩია, რომ როცა ხუმრობა არ შეუძლია, ჯობია გაჩუმდეს. კრავჩუკმა დაამატა, რომ ეს მისი ბოლო მიმართვა სახელმწიფოს ხელმძღვანელისად და მომავალში ყველა კონსტიტუციურ საშუალებას გამოიყენებს ვადამდელი არჩევნების დასაწინააღმდეგ.

დღევანდელი რეიტინგებით იულია ტიმოშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი ლიდერობენ. იუშენკო მესამე ადგილზე და მისი პოზიცია ლიდერებისას სერიოზულად ჩამორჩება. მას გაცხადებული აქვს, რომ ზაფხულში გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას.

აშშ-ს დაზვერვის დამატებითი ფუნქცია

ამერიკიდან შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს კიდევ ერთი ახალი ფუნქცია დაემატება. როგორც შურნალისტებთან საუბარში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ახალმა დირექტორმა ლეონ პანეტამ აღნიშნა, უწყება ყოველდღიურად მიაწვდის ინფორმაციას პრეზიდენტ ბარაკ ობამას მსოფლიოში ეკონომიკური ვითარების შესახებ.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ გლობალური რეცესია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და რუსეთი, ლათინური ამერიკის მსგავსად "მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ქვეყნების საგარეო

პოლიტიკაზე." ასე რომ, პანეტას აზრით, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისის შეუძლია არგენტინაში, ვენესუელასა და ეკვადორში ვითარების დეტაბილიზაციის გამოწვევა. მისი თქმით, ლათინური ამერიკის აღნიშნულ სამ ქვეყანაში ვითარება უკვე შესამჩნევად გამწვავდა.

გარდა ამისა, შეერთებული შტატების სპეცსამსახურები თვალყურს ადევნებენ იმასაც, თუ რა გავლენას ახდენს კრიზისი ისეთ მსხვილ სახელმწიფოებზე, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი.

"ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება, ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში მისი ვარ-

დნა უარყოფითად აისახება მსოფლიო სტაბილურობაზე. ჩვენ როგორც სადაზვერვო უწყება, ვალდებული ვართ, თვალყურს ვადევნოთ ეკონომიკური კრიზისის განვითარებას, რათა დავრწმუნდეთ, რამდენად რეალური გავლენა აქვს ეკონომიკას ჩინეთის, რუსეთისა თუ სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ საერთაშორისო საკითხებსა თუ ზოგადად ურთიერთობებს, რომელიც მიმართავს გულგრილად ვერ დავრჩებით," - განაცხადა შეერთებული შტატების დაზვერვის შეფმა.

ლეონ პანეტას თქმით, ასე-

თი ტიპის პირველი ანგარიში ბარაკ ობამასთვის მიმდინარე წლის 25 თებერვალს მომზადდა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსთვის დამატებითი ფუნქციის დაკისრების იდეის ავტორი, ცხადია, თავად პრეზიდენტია, რომელსაც დილაობით ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილეებისგან, სხვა სადაზვერვო მონაცემების მოსმენის პარალელურად, ეკონომიკური კრიზისის შესახებ ცნობების მოსმენაც სურს.

ეროვნული ეკონომიკის შესახებ ბრიფინგის ორგანიზება შეერთებული შტატების ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელ ლარი სამერსს ევალება.

რევოლუ

აქვს თუ არა მომავალი ანიმაციის საქართველოში?

ბალა ჩაქარიშვილი

მართალია, საქართველოში ანიმაციის წარმოება თითქმის შეწყვეტილია, მაგრამ მისი შესწავლის მსურველთა რიცხვი იმაზე მეტია, ვიდრე ეს საბჭოთა დროს იყო. ამას გარდა ამ ხელოვნების პრესტიჟულობას, ალბათ ისიც განაპირობებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ანიმაციური ფილმების შიშობილია და ანიმატორებს ახალ-ახალ იდეებსა და ნოვატივებს სთხოვენ.

სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე გრაფიკის კათედრაზე ანიმაციის სახელოსნო 25 წელია არსებობს, სადაც ანიმაციური ფილმების დამდგმელ მხატვარ-ანიმატორებს ამზადებენ.

მხატვარ-ანიმატორის ფუნქციებში ფილმის ტიპაჟებისა და ფონების შექმნა და შემდეგ კადრიების გაკეთება შედის. ეს ძალიან დიდი შრომაა და განსაკუთრებული ნიჭი და იუმორის გრძობა სჭირდება მხატვარს, რომ მოძრაობა და სახასიათო ტიპაჟები შექმნას.

სპეციალისტები თვლიან, რომ მულტიპლიკაციაში მუშაობას არქიტექტურული ხედავაც სჭირდება. დასაწყისში ყველაფერი ნახატზე კეთდება და შემდეგ გადადის სხვადასხვა მასალაში.

როგორც სახელოსნოს ასოცირებულმა პროფესორმა მხატვარმა ლელა ტაბლიაშვილმა გვითხრა, ანიმაციის გაკეთება შეიძლება ყველაფრით: პლასტილინით, აპლიკაციით, ასანთის ღერებით, კენჭებით. მაგრამ ანიმატორმა ჯერ სამხატვრო განათლება უნდა მიიღოს.

ლელა ტაბლიაშვილი: "ჩვენ კლასიკურ ანიმაციას ვასწავლით. თუ ანიმატორმა ხატვა არ იცის, მხოლოდ კომპიუტერული პროგრამის ცოდნა არ ეყოფა. მით უფრო, რომ უცხოეთში უკვე მობეზრდათ ახალი ტექნოლოგიებით გაკეთებული ფილმები და გაჩნდა მოთხოვნილება ხელით ნაკეთ მულტფილმზე. სპეციალისტები თვლიან, რომ კომპიუტერულმა ანიმაციამ ისე წაღუპა ხელოვნების ეს სფერო, რომ სულიერება დაიკარგა".

რამდენიმე წლის წინ რუსმა ანიმატორმა ალექსანდრე პეტროვმა "ოსკარი" მოიპოვა ფილმი-სათვის "მოხუცი და ზღვა", რომელიც შუშაზე ზეთის საღებავებითაა დახატული. ეს უაღრესად საინტერესო და შრომატევადი ტექნიკაა, რომელიც ბოლო წლებში აკადემიის ანიმაციის სახელოსნოშიც ისწავლება. კადრები სპეციალური კონსტრუქციის შუშის მაგი-ლაზე იხატება, წამში 24 კადრის დახატვაა საჭირო, სადაც ყველაფერი მილიმეტრებშია გათვლილი, მას კამერა ზემოდან იღებს. ყოველი წინა კადრი იშლება და ახალი იხატება.

ვიდრე სათანადო მაგიდას შეიძენდნენ, 2 წლის წინ 20-წამიანი ანიმაცია სტუდენტებმა ფანჯრის მინაზე გააკეთეს. ეს ექსპერიმენტი სტუდენტებმა ისრაელიდან ჩამოსულ მულტიპლიკატორ დევი



ლელა ტაბლიაშვილის "თხა და ვენახი".

ხანანაშვილთან ერთად ჩაატარეს. შედეგით ყველა აღფრთოვანებული იყო. გასულ ზაფხულს კი დევი ხანანაშვილმა აკადემიაში მორიგი მასტერ კლასი ჩაატარა და სტუდენტებმა შუშაზე ზეთის საღებავებით ვივალდის "წელიწადის დროები" გააკეთეს. ფილმი ვივალდის მუსიკის თანხლებით მიდის და ბუნების პეიზაჟის გარდა ჩანს მხატვართა ხელებიც, როგორც სამყაროს შემოქმედის, ის ვინც დროთა მიმდინარეობასაც განაგებს და თავის შექმნილ სამყაროს სხვადასხვა ფერებით მოსაგებს.

როგორც ლელა ტაბლიაშვილი იხსენებს, ეს იმდენად დამლული და შრომატევადი საქმეა, რომ სტუდენტები და მათი პედაგოგები ერთი კვირის მანძილზე დიდიდან საღამომდე შეუსვენებლად მუშაობდნენ. ფილმის პრემიერა კინოთეატრ "ამირანში" შედგა, მულტიპლიკაციის სახელოსნოს 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე და საქართველოს ტელევიზიის ყველა არხმა აჩვენა. მულტიპლიკატორი დევი ხანანაშვილი მის წარდგენას ისრაელის ფესტივალზე აპირებს.

როგორც აღმოჩნდა, ვივალდის ამ მუსიკაზე ფილმი გაკეთებული აქვს ცნობილ უნგრელ ანიმატორს ფერენც კაკოს. ამ ანიმატორის ქვიშის მულტიპლიკაციით გაკეთე-

ბულ ნამუშევარს ქართველი მაცურებელი კარგად იცნობს დათო ხუჯაძის ცნობილი კლიპით "მახინჯი ვარ".

ლელა ტაბლიაშვილის თქმით, ქვიშის მულტიპლიკაციის გაკეთების საშუალება დღეს სამხატვრო აკადემიასაც აქვს. უნგრელ ანიმატორთან ვივალდის "წელიწადის დროების" პარალელი კი მართლაც საინტერესოა, მით უფრო, რომ არც ქართველ სტუდენტებს და არც მათ პედაგოგებს ანიმაციის უნარული ვერსია ნახაბი არ ჰქონდათ.

ლელა ტაბლიაშვილის თქმით, სახელოსნოში საკმაოდ ძლიერი რესურსია იმისათვის რომ მომავალში ქართული ანიმაცია განვითარდეს. აკადემიის სახელოსნოსთვის საამაყოა ის ფაქტი, რომ სახელოსნოს კურსდამთავრებული ვალერი ხარიტონაშვილი პოლიუდის "დრიმვორკ"-ის სტუდიაში მუშაობს და პოპულარული მულტფილმ "შრეკის" ეფექტების მხატვარია. ასევე ამერიკულ სტუდიაში მუშაობს გია გერსაშვილი, რომლის ანიაციური ფილმი "იმედი" ქართველმა მაცურებელმა იხილა ბათუმის ანიმაციურ ფესტივალზე "ბიზინი".

საქართველოში მოღვაწე ანიმატორები კი ტელეარხებზე და სარეკლამო კომპანიებში მუშაობენ და კლიბებსა და სარეკლამო რგო-

ლებს აკეთებენ. არავინ იცის, საავტორო ფილმების შექმნის საშუალება მათ როდის მიეცემათ, ანდა თუ შექმნიან, მერე სად გაყიდიან.

გასულ წელს ლელა ტაბლიაშვილმა ცნობილი ქართული ხალხური ლექსის "თხა და ვენახის" მიხედვით ანიმაციური ფილმი გადაიღო. ეს პლასტილინით გაკეთებული თოჯინური ფილმია. მისი ოპერატორი და მონტაჟის ავტორია რამაზ დარჩია. ფილმი საინტერესოა არა მხოლოდ თავისი გამომსახველობით, სცენარითაც. საქმე ისაა, რომ რეჟისორმა ლექსის ფინალი გადააკეთა: ვენახში შესულ თხას დროულად წამოადგნენ თავზე გლეხები, გააგდეს იქიდან და მოსავალი სრულ განადგურებას გადაარჩინეს. მერე ყურძენი დაკრიფეს, დაწურეს და მრავალჯამიერიც შემოსძახეს და როგორც ზღაპარს შეეფერება, სუფრის გარშემო ყველა ერთად დაჯდა: კატაც, თაგვიც, მინაც, ჟანგიც, თოფიც, თხაც, და მგელიც. ფინალის ასეთ ცვლილებას ლელა ტაბლიაშვილი იმით ხსნის, რომ ვენახი და ვაზი ქართველი კაცისთვის უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მცენარე, რომელიც შეიძლება თხამ გაანადგუროს. მით უფრო დღეს, როცა ქართულ ვაზს და ღვინოს საკმაოდ რთული პერიოდი უდგას. გარდა ამისა, რეჟისორს სურდა

ზღაპარი დღესასწაულით დამთავრებულიყო.

ლელა ტაბლიაშვილისა და რამაზ დარჩიასთვის ეს მეორე თოჯინური ფილმია, მათ ნატო დონაძესთან და დათო ხუჭუასთან ერთად ასევე პლასტილინში გააკეთეს "სახანლო ზარები", რომელიც ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ს საახალწლო ეთერში აჩვენეს და კინოფესტივალ "სესილის" საკონკურსო პროგრამაშიც მონაწილეობდა.

პლასტილინში გაკეთებული ანიმაცია ბოლო პერიოდის ქართული მულტიპლიკაციისთვის დიდი სიახლეა, მით უფრო რომ ევროპულ ფესტივალებზე დიდი წარმატებით სარგებლობს პლასტილინში გაკეთებული ფილმები. ამ ტექნიკითაა გაკეთებული, მაგალითად, ცნობილი "ქათმების გაქცევა".

სავარაუდოდ "თხა და ვენახი" რამდენჯერმე დატრიალდება ქართულ ტელეეთერში და ამით დამთავრდება. ფაქტია, რომ ქართულ ტელეარხებს ეროვნული ანიმაციის შესაძენად ფულის გადახდა არაფრით არ უნდათ, რეჟისორები კი იმითაც კმაყოფილები რჩებიან, თუკი მათი ნამუშევარი მაცურებლამდე მიაღწევს და როდის დასრულდება ამ წრეზე ტრიალი, არავინ იცის.



ვსნავლობით კადრირებას

ოთარ იოსელიანი სამდღიან მასტერკლასს ჩაატარებს

ნა ვაკაძე



- 27 თებერვალი**
- თეატრი**
- შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
თორმეტი განრისხებული მამაკაცი რეჟისორი: რობერტ სტურუა, რეჟაზ ჩხაიძე დასაწყისი: 19.00
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
ART ხელოვნება რეჟისორი თემურ ჩხეიძე დასაწყისი: 19.00
- თეატრი სხვენში**
ქალი ძალლით რეჟისორი ლევან წულაძე დასაწყისი: 19.00
- მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს რეჟისორი გოგი მარგველაშვილი დასაწყისი: 19.00
- თავისუფალი თეატრი**
ჯინსების თაობა რეჟისორი დავით დოიაშვილი დასაწყისი: 20.00
- მუსიკისა და დრამის თეატრი**
იყო და არა იყო რა - ანუ საშობაო ზღაპარი რეჟისორი დავით დოიაშვილი დასაწყისი: 19.00
- თეატრალური სარდავი**
თაგვი რეჟისორი ლევან წულაძე დასაწყისი: 19.00
- თეატრი ათონელზე**
სახურავი დასაწყისი: 19.00
- პანტომიმის თეატრი**
ტერენტეტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი რეჟისორი ამირან შალიკაშვილი დასაწყისი: 19.00
- კინო**
- "ამირანი"**
ქორნილის დღე დასაწყისი: 18.45; 20.30; 22.15
ოპერაცია ვალკირია დასაწყისი: 14.15; 18.15
იგორი დასაწყისი: 12.15; 18.00
ვიკი, კრისტინა, ბარსელონა დასაწყისი: 14.00; 16.00; 20.00; 22.00
- რუსთაველი**
იგორი დასაწყისი: 12.45; 14.30; 16.15; 18.00
ოპერაცია ვალკირია დასაწყისი: 13.00; 15.15; 17.30
ავსტრალია დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30
როკენროლა დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.00
ვარდისფერი პანტერა 2 დასაწყისი: 20.00
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

დღეს კინოს დღეა. მოხერხებულ სავარძლებში ვსხდებით და ველოდებით, როდის ჩაბნელდება დარბაზი, რომ დიდ ეკრანზე ამოძრავებულ კადრებს მივაღვეწოთ თვალი. კადრს მიღმა კი რჩება ის დეტალები, რაც ამ სანახაობას ქმნის - მისი შემადგენელი ნაწილია კადრირება. სწორედ ამის შესახებ ჩაატარებს სამდღიან მასტერკლასს ოთარ იოსელიანი, რომელიც თბილისში 4 მარტს ჩამოვა და თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციასაც დაესწრება.

ოთარ იოსელიანის მასტერკლასების ორგანიზატორი თეატრი-სა და კინოს უნივერსიტეტი. 5, 6 და 7 მარტს რეჟისორი ამავე უნივერსიტეტის დარბაზში წარსდგება. როგორც მისი ვიზიტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რეჟისორმა დათო ჯანელიძემ აღნიშნა, მასტერკლასებზე დასასწრები ყველა ადგილი უკვე შევსებულია. შეიძლება ითქვას, რომ ოთარ იოსელიანი მსოფლიოში კადრირების საუკეთესო სპეციალისტი რეჟისორია, მას თვითოეული კადრი, რაკურსი თუ პანორამა ზედმიწევნით აქვს გათვლილი, ამრიგად მის მიერ ამ თემაზე ჩატარებული მასტერკლასი უდავოდ საინტერესო და საგანმანათლებლო ხასიათის იქნება. ამიტომ როგორც კი მისი ჩამოსვლის შესახებ გახდა ცნობილი, სამივე დღე მასტერკლასზე დასასწრების მსურველებით შეივსო - გვითხრა დათო ჯანელიძემ. აქვე აღვნიშნავთ, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რეჟისორის სპეციალობის სტუდენტებისთვის მასტერკლასი უფასო იყო, ხოლო ამავე უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის გადასახადი 75 ლარს შეადგენდა, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის - 150 ლარს.

მასტერკლასი ერთადერთი ღონისძიება არაა, რომელიც ოთარ იოსელიანის სტუმრობას უკავშირდება. 7 მარტს თბილისი ბანკის სათაო ოფისის საგამოყენო დარბაზში მისი წიგნის, ლუის პრეზენტაცია გაიმართება და გამოიფინება ამ წიგნში შესული მის მიერ შესრულებული ფილმების კადრირებები - გეორგიანთაგან შემდგომის ბაღებამდე. წიგნის მთავარი მასალა კი ოთარ იოსელიანის არშემდგარი პროექტის, ფილმ ლუის კადრირებაა. ამ ფილმის გადაღებას

რეჟისორი რამდენიმე წლის წინ გეგმავდა და ლუი XIV, მეფე მზეს დროინდელი საფრანგეთის მაგალითზე ნომენკლატურის წარმოშობას შეეხებოდა. პროექტი ვერ შედგა, თუმცა როგორც დათო ჯანელიძეს თავად რეჟისორმა უთხრა, ამ ფილმისთვის საუკეთესო კადრირება აქვს შექმნილი. აქვე შეგახსენებთ, რომ წიგნი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტზე მოამზადა და გამოსცა.

ოთარ იოსელიანის სტუმრობამდე კინოს მოყვარულებს კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება

ელით: 3 მარტს კინოთეატრ ამირანში მეტად საინტერესო ჩვენება გაიმართება. წარმოდგენილი იქნება დღეს უკვე ცნობილი ნანა ჯანელიძის, ნანა ჯორჯაძის, რამაზ იოსელიანისა და ამავე თაობის წარმომადგენელი სხვა რეჟისორების სტუდენტური პერიოდის ფილმების ჩვენება. პროექტს სახელწოდებით უცნობი ქართული კინო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი და კინოსტუდია ქართული ფილმი წარმოდგენენ. ფილმების აღდგენა და დიგიტალიზაცია ამავე კინოსტუდიაში მოხდა.

ენების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ

იუნესკოს ახალი ატლასის თანახმად, მსოფლიოში არსებული 6 000 ენიდან 2 500 გაქრობისკენ მიისწრაფვის ან უკვე შეწყვეტა არსებობა. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, 3 000 ენაზე არანაკლები მატარებელს სამუდამოდ კარგავს. ამასთან, მთელი პლანეტის მოსახლეობის 97 პროცენტი ენების მხოლოდ 4 პროცენტის მატარებელია. როგორც ჩანს, XXI საუკუნის ბოლოს დანინაურებული ენები არსებულის 90 პროცენტს განდევნიან.

ყველა ეს ციფრი მონიშნავს გლობალიზაციაზე, კომუნიკაციებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გაძლიერებაზე. იუნესკო შეფერხებულია არა იმდენად ამ მოვლენების აღმოფხვრაზე, რამდენადაც მცირე ენების და მათთან ერთად პლანეტის კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობაზე.

იუნესკოს მოხსენებაში, რომელიც მსოფლიოს ენების სიცოცხლისუნარიანობას ეხება, არ არის მოცემული კონკრეტული განსაზღვრება ენის, დიალექტებისა და კილოების. მასში საუბარია მხოლოდ ენების ამა თუ იმ კატეგორიისთვის მიკუთვნების მეთოდებზე. ის საკვებით საინტერესოა.

იუნესკოს ექსპერტები, რომლებმაც გაქრობის პირას მყოფი ენების ატლასი შედგინეს, მათი სიცოცხლისუნარიანობის კლასიფიკაციისთვის, ფაქტორთა ექვს ჯგუფს ითვალისწინებენ.

1. ენის თაობიდან თაობაზე

2. ენის მატარებლის აბსოლუტური რიცხვი;
3. მოსახლეობაში ენის მატარებლის წილი;
4. ენის გამოყენების ადგილები;
5. ენის ახალ გარემოში გამოყენება;
6. სასწავლო მასალების არსებობა;

თითოეული ასეთი ჯგუფის შიგნით ენის მდგომარეობა ფასდება შკალით 0-დან 5-მდე (0 - მკვდარი ენა, 5 - მთლიანად სიცოცხლისუნარიანი ენა, რომელსაც არაფერი ეშუქრება).

მაგალითად, ფაქტორთა პირველ ჯგუფში - ენის თაობიდან თაობაზე დაგაცემა - უმაღლეს ქულას იმსახურებს ენა, რომელზეც ყველა ასაკის ყველა წარმომადგენელი საუბრობს, გამოწვევის გარეშე. საშიშროება რეგისტრირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლიური ენა გამოიყენება შეზღუდულად - მხოლოდ სახლში, მაგრამ არა, ვთქვათ, სკოლაში (4 ქულა). 3 - ეს სიტუაციაა, რომელშიც ბავშვებს მშობლიურ ენას სახლში აღარ ასწავლიან, შესაბამისად, ენის ძირითადი მატარებლები არიან მათი მსოფლები და ენობრივი ჩვევის გადაცემაში წყვეტა უკვე არსებობს. შეფასება - 2", შესაბამისად, გამოიყენება მაშინ, როდესაც ამ ენაზე დღევანდელი ბავშვების მხოლოდ ბებიები და ბაბუები ლაპარაკობენ. კრიტიკული მდგომარეობა (1") რაგისტრირებულია იმ შემთხვევაში,

როდესაც ენის მატარებელ მხოლოდ ხანდაზმულები არიან დარჩენილი და ბავშვებს დიდ ბებიებზე და ბაბუებზე უნდა ერეგებინათ.

საყურადღებოა მეოთხე ჯგუფი - ენის გამოყენების ადგილები (მეორე და მესამე - ენის მატარებლის აბსოლუტური რიცხვი და მოსახლეობაში ენის მატარებლის წილი - ცხადია). შეფასებებთან 0" და 5" ყველაფერი გასაგებია, საინტერესო შემდეგ იწყება. 4" წერენ მაშინ, როდესაც მშობლიური ენა ფართოდ გამოიყენება რელიგიურ დაწესებულებებში, ბაზრობებზე და ა.შ. ხოლო დომინირებული ენა (ან ენები) გამოიყენება სახელმწიფო და სასწავლო დაწესებულებებში, ძალიან სტრუქტურულად.

3" ქულას იუნესკოს ექსპერტები იმ შემთხვევაში იმეტებენ, როდესაც ბავშვებს ესმით მშობლიური ენა, მაგრამ იყენებენ დომინირებულს და მშობლებიც მათ სახლში ამ დომინირებულ ენაზე ესაუბრებიან. ამავე დროს, მშობლები ერთნაირად ფლობენ როგორც მშობლიურს ისე დომინირებულს. შესაბამისად, შეფასება 2" მიეკუთვნება იმ შემთხვევაში, როდესაც ენა გამოიყენება რომელიმე ერთი მიზნით, მაგალითად - რიტუალებში. ასეთ შემთხვევაში ბევრს ჯერ კიდევ ესმის ენა, მაგრამ ამ ენაზე აღარ ლაპარაკობს. ენის სიცოცხლის უკანასკნელი სტადია (1") შეინიშნება მაშინ, როდესაც ამ ენით უფროსი თაობის ერთეული წარმომადგენლები სარგებლობენ, თანაც ძალიან ვიწრო წრეში. გაქრობის საშიშროების

წინაშე მდგარი ენების ატლასში ურლანდურ ენას 3" ქულა დაუწერეს.

სიცოცხლისუნარიანი ენების შეფასებისას, ასევე, ითვალისწინებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიხედვით დამოკიდებულებას. სახელმწიფოს შეუძლია მხარი დაუჭიროს ან იგნორირება გაუკეთოს ენას, ნახალისოს ან არ ნახალისოს მათი შესწავლა, სტიმულირება გაუწიოს ასიმილაციას, აიძულოს ის, აკრძალოს არადომინირებული ენების გამოყენება.

დაბოლოს, არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი: ენასთან დამოკიდებულება მის მატარებლებს შორის. მშობლიური ენის შესწავლა შეიძლება მთელი საზოგადოების მიერ იყოს ნახალისებული (უმაღლესი ქულა); მეორე უკიდურესობაა, როდესაც საზოგადოება გულგრილია საკუთარი ენის მიმართ და საყოველთაო გადასვლა ხდება დომინირებულზე (შეფასება - 0").

სამწუხაროდ, გაქრობის წინაშე მდგარი ენების ატლასის ელექტრონულ ვარიანტში ახსნილი არ არის რა მონაცემების საფუძველზე ხდებოდა ამა თუ იმ ენის მდგომარეობის შეფასება. შესაძლებელია, დანერგული იყოს ინფორმაცია ამის შესახებ მოცემული იქნება ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ვერსიაში. თუმცა, შეფასების პარამეტრების განხილვა რამდენადმე ნათელს ხდის თუ როგორ მოხდენ ატლასში არა მხოლოდ მცირე ენების ენები, ასევე სახელმწიფო ენებიც.

„ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“

კონსულტანტი მინის რეგისტრაციის საკითხებში მონვევა ინტერესის გამოსახატავად N IC-44

1. შესავალი

„ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“), რომელიც წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 დეკემბრის N 561 ბრძანებულების საფუძველზე დაარსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ესაჭიროება ინდივიდუალური კონსულტანტი, რომელიც შეასრულებს მომსახურებას სახელწოდებით „განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში“. დაინტერესებულ კონსულტანტებს დეტალური ტექნიკური დავალების ჩამოთვრითა და შეუძლიათ ემ-სი-ჯის ინტერნეტ გვერდიდან www.mcg.ge ბმულიდან „შესყიდვები/მიმდინარე შესყიდვები/კონსულტანტი მინის რეგისტრაციის საკითხებში“.

2. მოკლე ინფორმაცია

საქართველოს მთავრობამ („მთავრობა“) და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მოქმედებს „ათასწლეულის გამონვევის კორპორაციის“ („კორპორაცია“) სახით, 2005 წლის 12 სექტემბერს გააფორმეს ხელშეკრულება „ათასწლეულის გამონვევის ანგარიშის“ შესახებ („კომპაქტი“). კომპაქტში განსაზღვრულია პირობები, რომელთა საფუძველზე კორპორაცია მთავრობას გამოუყოფს 295,3 მილიონ აშშ დოლარამდე დაფინანსებას „ათასწლეულის გამონვევის ანგარიშის“ პროგრამისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების გზით საქართველოში სიღარიბის დაძლევას. 2008 წლის 20 ნოემბერს ხელი მოეწერა კომპაქტის შესწორებას დამატებითი 100 მილიონი აშშ დოლარის დახმარების გამოყოფის თაობაზე. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ფონდი - ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“) სახით. მთავრობას განზრახული აქვს კორპორაციის დაფინანსების (როგორც ეს განმარტებულია კომპაქტში) ნაწილის გამოყენება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტისათვის. პროექტის მიზანია რეგიონში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. პროექტი ითვალისწინებს 170.9 კმ. გზის რეაბილიტაციას ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

3. სამუშაო დავალების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანია კონსულტანტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური საკითხების სამართლიანი გადაწყვეტა და ათასწლეულის პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების

დროული დაწყება.

4. აუცილებელი განათლება/გამოცდილება

- უმაღლესი განათლება მინათმონყობის დარგში ან მის მონათესავე დისციპლინაში;
- ინფრასტრუქტურულ პროექტებში მსგავსი დავალებების შესრულების გამოცდილება;
- კორპორაცია ათასწლეულის გამონვევის და მსოფლიო ბანკის „განსახლების სამოქმედო პოლიტიკის“ 4.12 ინსტრუქციის ცოდნა;
- გამოცდილება მინის რეგისტრაციის საკითხებში;
- საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში;
- განსახლებასთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სოციალური ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და მონაცემების ანალიტიკური შეფასების უნარი;
- მსოფლიო ბანკის სათანადო ინსტრუქციების შესაბამისად ზიანის დაანგარიშების ცოდნა და ანალიზი;
- სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონში მუშაობის გამოცდილება.
- მრავალენოვანი გარემოში კომუნიკაციისა და ურთიერთობის კარგი უნარი და ადგილობრივ სახელისუფლო სტრუქტურებთან წარმატებული ურთიერთქმედების გამოცდილება;
- ინგლისური და რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა;
- MS Office-ის პროგრამების თავისუფალი გამოყენების უნარი;

8. დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მომსახურების შესრულების შესაძლებლობის შესახებ, მათ შორის მსგავსი ამოცანის შესრულების, მსგავს პირობებში მუშაობის გამოცდილების, საჭირო უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის აღწერა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. კონსულტანტები შეირჩევიან მათი კვალიფიკაციის შედარების საფუძველზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, კონსულტანტის განაცხადში მითითებული იყოს მთელი აუცილებელი ინფორმაცია.

ინტერესის გამოხატვის წერილები წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 11 მარტის 18:30-საათისა.

მისამართი:

„ფონდი ათასწლეულის გამონვევა საქართველოს“

საკონტაქტო პირი: ლევან კალანდარიშვილი, შესყიდვების კოორდინატორი

საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქ. N4

ტელეფონი : + (995 32) 50 77 70

ფაქსი: + (995 32) 93 91 44

ელექტრონული ფოსტა: I.kalendarishvili@mcg.ge

Millennium Challenge Georgia Fund Land Registration Consultant Request for Expression of Interest No.: IC-44

1. INTRODUCTION

Millennium Challenge Georgia (MCG), a public law legal entity under Georgian legislation, established pursuant to the Presidential Decree No. 561, dated December 3, 2004, seeks an Individual Consultant (IC) to carry out services of "Preparation and Implementation of Resettlement Action Plan under the Samtskhe-Javakheti Road Rehabilitation Project (SJRRP)". Interested consultants can download detailed Terms of Reference from MCG's website www.mcg.ge link "Procurement/Active Procurements/Land Registration Consultant".

2. BACKGROUND

The Government of Georgia (Government) and the United States of America, acting through the Millennium Challenge Corporation (MCC), executed a Millennium Challenge Compact on September 12, 2005, which sets forth the general terms and conditions on which MCC will provide funding of up to \$295,3 million to the Government for a Millennium Challenge Account program. The Program aims to reduce poverty through economic growth in Georgia. An amendment to the Compact was signed on November 20, 2008 on provision of additional US\$100 million assistance. The Government, acting through the Millennium Challenge Georgia Fund ("MCG"), is responsible for running the program. The Government intends to apply a portion of the proceeds of the MCC Funding (as defined in Compact) to eligible payments under the Samtskhe-Javakheti Road Rehabilitation Project (SJRR). The project aims at the restoration of road transport network in the region. The project envisages the rehabilitation of 170.9 km road in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti regions.

3. OBJECTIVE OF THE ASSIGNMENT

The objective of the consulting service is to develop the resettlement action plan and implement it within the framework of Samtskhe-Javakheti Road Rehabilitation Project in order to ensure a fair settlement of social issues and the timely launch of rehabilitation works under the Millennium Challenge Georgia Program.

3. REQUIRED EDUCATION / EXPERIENCE:

- " A university degree in land management or related subject;
- " Experience in similar assignments in infrastructure projects;
- " Knowledge of MCC and World Bank Resettlement Policy Framework Instruction 4.12;
- " Experience in land registration issues;
- " Knowledge of legislation of Georgia related to this issue;
- " Profound knowledge of socio-economic aspects of resettlement and capacity to provide analytical estimation of data;
- " Knowledge of damage estimation according to corresponding World Bank Instructions and ability to analyze it;
- " Experience in working in Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli regions;
- " Strong communication and interpersonal skills for the work in multi-ethnic environment and experience in successful interaction with local authorities;
- " Fluent knowledge of English and Russian languages;
- " Wide use of MS Office applications.

4. OTHER

Interested consultants must submit information on their credentials to perform the services, including description of similar assignments, experience in similar conditions, availability of appropriate skills, qualifications and other relevant information. Consultants will be selected through comparison of qualifications. Therefore, it is important that all relevant information be included in the consultant's submission.

Expressions of Interest must be delivered to the address below by March 11, 2009, 6:30 p.m.

The address referred to above is:

Millennium Challenge Georgia Fund

Contact person: Levan Kalendarishvili, Procurement Coordinator

4, Sanapiro Street

Tbilisi, Georgia

Tel: +995 (32) 50 77 70

Fax: +995 (32) 93 91 44 E-mail: I.kalendarishvili@mcg.ge

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 18 თებერვალს გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი - პოლიგრაფიული პროდუქცია

ცვლილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

განცხადების მე-5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეესტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.“

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9; ტელეფონი: ფაქსი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი. ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge, s.berishvili@mof.ge.



სამხმ №2/1657 - 08

სასამართლო სხდომის

ო მ მ ი
(ა მ ნ ა წ ე რ ი)

23 თებერვალი, 2009 წელი
d. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე მაკა ჭყვიამ
თვონა საინჟინერო მდივნობით

განიხილა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების
სააგენტოს სარჩელი ირაკლი ხაზარაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსამართლე აცხადებს
ადგილზე თათბირით მიღებულ

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს

სასამართლოს მიიჩნია, რომ მოპასუხე ირაკლი ხაზარაძეს სარჩელის ფაქტობრივი
გარემოებების, ასევე სასამართლოს სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო
შეტყობინების მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის
თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების
ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს
განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო
შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივად
გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-
ტერიტორიულ ერთეულში. ამ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში
გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

საქმეს ერთვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო - სამისამართო
ბიუროს ცნობა, რომლის თანახმად, ირაკლი ხაზარაძე რეგისტრირებულია ქ. თბილისი,
დღმის მას. 3 კვ. კორპ. 19, ბინა №18 - ში.

აღნიშნულ მისამართზე მოპასუხისთვის გაგზავნილი კორესპონდენციები სასამართლოში
დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით. საფოსტო შეტყობინებებსა და დაბრუნებულ უწყებაზე
ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ მითითებულ მისამართზე ადრესატი არ
ცხოვრობს.

ამდენად, მოპასუხე ირაკლი ხაზარაძის ადგილსამყოფელი დაუდგენელია და მას
სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებისა და სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს
საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-
ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოპასუხე ირაკლი ხაზარაძეს სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ეცნობოს
საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით:

ირაკლი ხაზარაძეს საჯარო პუბლიკაციით ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომავალია სსიპ საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარჩელის გამო ირაკლი
ხაზარაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ №2/1657 - 08 საქმე.

- საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში:

2007 წლის 28 ოქტომბერს დაახლ. 3 საათსა და 30 წუთზე ქ. თბილისში, შეშელიძის
ქუჩაზე ირაკლი ხაზარაძემ დაარღვია რა ავტოსაგზაო მოძრაობის წესები, შეეჯახა
„ფოლკსვაგენ პასატ - ს“ სახ. ნომრით WW - 188, რომელსაც მართავდა სსიპ
საქართველოს შსს - ს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ნ. ხანდუხაძე.
სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი. ავტოსაგზაო
შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის შესაკეთებლად მომსახურების
სააგენტომ გადაიხადა 8655 ლარი და მასზე დარიცხული დღე 1557 ლარი და 90 თეთრი.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს ირაკლი ხაზარაძისთვის ზიანის
ანაზღაურების მიზნით 10212 ლარისა და 90 თეთრის დაკისრებას.

სარჩელს ერთვის: სატრანსპორტო საშუალების გადაცემის აქტი №17, ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის ოქმი (28/10.07წ) თანდართული საგზაო - სატრანსპორტო
შემთხვევის დათვალიერების სქემით, პატრულ ინსპექტორის პატაკი, დოკუმენტური აქტი
ავტომანქანის რემონტის შესრულებაზე (21/01/2008წ).

მოპასუხემ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული
ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით) უნდა შეადგინოს პასუხი
(შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, მოსაზრებები
სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოს თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მათი ჩაბარებიდან **10 დღის** ვადაში.
**სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით
წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.**

ინფორმაციას, პასუხის (შესაგებლის) შეგების წესების, აგრეთვე მისი
წარუდგენლობით გამოწვეული შედეგების შესახებ, გაეცანით შესაგებლის შეგების
ინსტრუქციაში (თან ერთვის პასუხის (შესაგებლის) ფორმა).

ბიზნისი გაითვალისწინეთ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული
სარჩელის, პასუხის (შესაგებლის), სააპელაციო საჩივრის, სააპელაციო
პასუხის (შესაგებლის), საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პასუხის
(შესაგებლის) ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის სააპელაციო
სასამართლოში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7^ა), საქართველოს
იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (ქ. თბილისი, ბოჭორძის ქ. №12) და
ნებისმიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე მითით
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (www.hcoj.gov.ge),
საქართველოს უზენაესი სასამართლოს (www.supremecourt.ge),
თბილისის სააპელაციო სასამართლოსა
(www.tbilisiappeal.court.gov.ge/index.php) და საქართველოს

სასამართლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარჩელის გამო ირაკლი
ხაზარაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ №2/1657 - 08 საქმეზე სასამართლოს
მოსამზადებელი სხდომა დაინშნულია 2009 წლის 13 მარტს 16⁰⁰ საათზე, რომელიც
ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, ადამაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6,
სხდომის დარბაზი №24;

3. ირაკლი ხაზარაძეს განემარტოს:
- ა) საჯარო პუბლიკაციის საშუალებით სხდომის დღის შეტყობინების
შემთხვევაში მხარისთვის სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით
ჩაბარებულად ითვლება განჩინების გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;
 - ბ) თუ სასამართლოს მოავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე ან
მოპასუხე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-
78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის XXVI თავის საფუძველზე გამოიტანოს დაუსწრებელი
გადაწყვეტილება. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე,
რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე
მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის
განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები;
 - გ) სხდომაზე დაბრუნებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი
სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება
ავადყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური
გარემოება, რაც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზიდან მომდინარეობს.
4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: /მ. ჭყვიამ/
სხდომის მდივანი: /თ. საინჟინერო/

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. მარტვილი, თავისუფლების №10) აცხადებს
ტენდერს 1 ლოტად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდიჭყონი-ტალერის
წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების (II ეტაპი) სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ
ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი:
მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდიჭყონი-ტალერის წყალსადენი მაგისტრალის სარეა-
ბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი).
სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვე.
2. სატენდერო ნინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი
ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მო-
საკრებლის გადახდის შემდეგ მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 19 თებერვლიდან 2009 წლის 24
მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. №10. მარტვილის
მუნიციპალიტეტის გამგეობა. ტელ: 890 80 15 80.
3. სატენდერო მოსაკრებლის რაოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. სატენდერო მოსაკ-
რებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200122900, საქართველოს
ეროვნული ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300353174.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:
იურიდიული პირებისათვის:
 1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები
(მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
 2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
 3. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონება-
ზე არ არის დადებული ყადაღა.
 4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზა-
ცია ან ლიკვიდაცია.**ფიზიკური პირებისათვის:**
 1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარი, სახელი, მისამარ-

- თი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური
პირი ქმედუნარიანია.
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
- საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
 - ცნობა სასამართლოდან გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოების შესახებ.
 - ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.
 - ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრუ-
ლების ვადებისა და დამკვეთის მითითებით.
 - კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს
არანაკლებ 300000 (სამასი ათასი) ლარისა.
 - ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვ-
ლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასა-
ხელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირო-
ბებს, ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.
- სატენდერო ნინადადება გაიხსნება მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პი-
რის თანდასწრებით, რომლებიც მოსურვებენ დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე
2009 წლის 24 მარტს, 17 საათზე; ქ. მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10, მარტვილის მუნი-
ციპალიტეტის გამგეობა.
 - დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს.
 - სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო შესყიდ-
ვის შესახებ .

სპორტი

მარტში დუბაი გზელის

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ალანიაშვილმა, 5-7 მარტს დუბაიში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, 16 მორაგბე შეარჩია. მათი უმრავლესობა ქართულ კლუბებში მობურთალო მორაგბეები არიან, თუმცა, საბოლოოდ დუბაიში 12 მათგანი გაემგზავრება. მორაგბეთა თხუთმეტკაცა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა კახა ალანიას მხოლოდ ორი ლეგიონერი დაუთმო, დანარჩენები კი მადრიდში, ესპანეთთან სათამაშოდ წაიყვანა.

შვიდკაცა რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და საქართველოს ნაკრები მასში მესამედ მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს შვიდკაცამ დუბაის საგზური ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული თამაშით მოიპოვა (გუნდის კაპიტანი გიორგი შკინინი იქნება). მსოფლიო ჩემპიონატამდე საქართველოს ნაკრებმა გასული წლის მინორულს ორ მსოფლიო სერიაზე ითამაშა - დუბაიში და სამხრეთ აფრიკის ქალაქ ჯორჯში, თუმცა, ექსპერიმენტული შემადგენლობით. იქ გამართულ ათივე შეხვედრაში დამარცხდა, თუმცა, შკინინი იმედოვნებს, რომ მიღებული გამოცდილება გუნდს 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უკეთესი შედეგის ჩვენებაში დაეხმარება.

"ხუთი-ექვსი წელია, რაც შვიდკაცა რაგბი მალაღონე არ გვითამაშავია. ახალგაზრდული გუნდი ვართ და პრაქტიკულად წელიდან ვინყვებთ, მაგრამ გარკვეული გამოცდილება უკვე შევიძინეთ და ახლა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ველოთ. ყველას უნდა ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია. ჩვენგან განსაკუთრებულ წარმატებას არავინ ელის და ზენოლას არ განვიცდით. შესაძლოა, დუბაიში სასწაული მოვახდინოთ და მთელი რაგბის სამყარო გაავოთ", - ამბობს შკინინი.

შვიდკაცას მსოფლიო ჩემპიონატი "ერთა თასის" შეხვედრებს ემთხვევა. ამის გამო საუკეთესო ქართველი მორაგბეები თხუთმეტკაცა რაგბის ნაკრებში არიან და შვიდკაცას ვერ ეხმარებიან. გუნდი დუბაიში კიდევ უფრო შესუსტებული შემადგენლობით მიდის, რადგან საფრანგეთის Top 14-ის კლუბები ვალდებული არ არიან მორაგბე შვიდკაცას სათამაშოდ



გიორგი შკინინი - შვიდკაცა ნაკრების კაპიტანი

გაათავისუფლონ და ამ უფლებას იყენებენ კიდევ.

"საქართველოში დაახლოებით 200 მორაგბეა, რომელიც უმაღლეს დონეზე თამაშობს, მაგრამ შვიდკაცა რაგბისთვის მათგან მხოლოდ 30-35 თუ გამოდგება", - თქვა შკინინმა.

დუბაიში საქართველოს ნაკრები ურთულეს ჯგუფში მოხვდა. მათი მეტოქეები არიან მსოფლიო ჩემპიონი ფიჯი, ამოუცნობი საფრანგეთი და ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერებული აშშ-ის ნაკრები.

"აშშ-ის ნაკრებს გასული წლის მინორულს ჯორჯის მსოფლიო სერიის ეტაპზე ვეთამაშეთ და დავმარცხდით. მათ ძლიერი, სწრაფი მოთამაშეები დაკომპლექტებული გუნდი ჰყავთ და ერთმანეთთან შეთანხმებულნი არიან. საფრანგეთი ძნელად ამოსაცნობი გუნდია, თუმცა, მათთან თამაში სიამოვნებას გვანიჭებს. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა. შევეცდებით, ტრიბუნაზე შეკრებილ მაყურებელს საკუთარი თამაშით ვასიამოვნოთ", - განაცხადა შკინინმა.

დუბაის მსოფლიო ჩემპიონატზე რ ოთხგუნდა ჯგუფია. თასისთვის ბრძოლას, ჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად, მეორე ადგილზე გასული ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს; მე-9 ადგილისთვის ანუ სინისთვის ბრძო-

ლას, ოთხ უარეს მეორეადგილოსანთან ერთად, ოთხი უკეთესი მესამეადგილოსანი განაგრძობს; მე-17 ადგილისთვის, ანუ ფიალისთვის, ორ უარეს მესამეადგილოსანთან ერთად, ჯგუფის მაჩანჩალები იბრძოლებენ.

საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი 5 მარტს ფიჯისთან უნევს, 6-ში ჯერ საფრანგეთს, შემდეგ კი აშშ-ს გაეჯობება. ჯგუფში ნაჩვენები შედეგის მიხედვით, 7 მარტს ალანიას შეგირდები ჩემპიონატზე საბოლოო ადგილის დასაკავებლად იბრძოლებენ.

ალანიამ დუბაიში წასაყვანად შემდეგი მორაგბეები შეარჩია:

გიორგი ჩხაიძე ("მეტრო რასინგი", საფრანგეთი), ვიქტორ კოლეიშვილი ("ლელო"), დავით ჩიტაძე ("ლოკომოტივი"), ჯაბა ბრეგვაძე ("ყოჩები"), სანდრო თოდუა ("ლელო"), მერაბ კვირიკაშვილი ("მასი", საფრანგეთი), გიორგი შკინინი ("ზულიგანა"), ლექსო გუგუა ("ლოკომოტივი"), ბიძინა სამხარაძე ("ფარული", რუმინეთი), ირაკლი გეგენავა ("ყოჩები"), სანდრო ნიუარაძე ("ყოჩები"), გიორგი კაჭარავა ("ყოჩები"), ლაშა ხმალაძე ("ლელო").

რეზერვი: ვახტანგ კავთიძე ("უნივერსიტეტი"), ალექო ტუჩაშვილი ("ლოკომოტივი"), ვახტანგ ახვლედიანი ("ლოკომოტივი").

მწვრთნელი: კახა ალანია
მენეჯერი: გიორგი ასათიანი

A ჯგუფი
ახალი ზელანდია
ტონგა
არაბეთი
იტალია

B ჯგუფი
ფიჯი
საფრანგეთი
აშშ

საქართველო
C ჯგუფი
სამხრეთ აფრიკა
შოტლანდია
კანადა
იაპონია

D ჯგუფი
სამოა
ავსტრალია
პორტუგალია
ირლანდია

E ჯგუფი
ინგლისი
კენია
ტუნისი
ჰონკონგი

F ჯგუფი
არგენტინა
უელსი
ზიმბაბვე
ზურუგავი

5 მარტი
საქართველო - ფიჯი (20.16 თბილისის დროით)

6 მარტი
საქართველო - საფრანგეთი (15.02)
საქართველო - აშშ (17.14)

ესპანელებმა სასტარტო შემადგენლობა დაასახელეს

ესპანეთის სარაგბო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯედ გლინმა დაასახელა ის თხუთმეტი მოთამაშე, რომელიც 28 თებერვალს მადრიდში, ერთა თასზე, საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

ბორჯალონისელები, რომლებიც მომავალი მატჩისთვის საფრანგეთში ემზადებოდნენ, ტურნირზე რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებებს ჩამორჩებიან, ესპანეთი კი მხოლოდ გერმანიას უსწრებს და ბოლოსწინა ადგილზეა.

ესპანეთი:
იონ ინსაუსტი, ხოსე მარია ბოორკესი, ხავიერ სალაზარი, ლეანდრო ფერნანდეს-არამბურუ, სერხიო სოუტო, დავიდ ერნანდესი, ხუან გონსალესი, სესარ ბერნასკონი, პაბლო ფიხიო, ერემია პალუმბო, დავიდ მოტა, ხაიმე ნავა, ხავიერ კანოსა, ხუან კანო, სესარ სემპერე.

ახალი სტადიონი ბათუმში

ბათუმში ახალი სტადიონის აშენება იგეგმება. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ საკითხით დინტერესდა და საქმეში ფონდი არველაძე ჩაერთო.

ფონდის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შოთა არველაძე იმ კომპანიას დაუკავშირდა, რომელმაც ამსტერდამ არენა ააგო. AMSTERDAM ARENA ADVISORY - ასე ჰქვია კომპანიას, რომელსაც არაერთ ქვეყანაში აქვს პროექტები. კომპანიამ უკვე დაამზადა ბათუმის სტადიონის ციფრული ესკიზი, თუმცა ეს საბოლოო ვარიანტი არ არის. სტადიონი კარგება უკანაც გადახურული უნდა იყოს, ტრიბუნების სიმაღლე კი 1.8 მეტრით გაიზრდება. კომპანია მზადაა კონსულტაციები გასწიოს მენეჯმენტის და ბიზნეს-გეგმის მხრივაც.

"ხიზანა" ძირითადში ათამაშეს

პრემიერლიგაში მოასპარევე ბლექბერნი, რომლის ღირსებასაც ზურაბ ხიზანიშვილი იცავს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის გათამაშებას, მე-5 რაუნდში სტუმრად ჩემპიონლიგის ქოვენთისთან 0:1 ნაგებული მატჩის შემდეგ გამოეთიშა. ბლექბერნის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, განვილილ შეხვედრაში ქართველი მცველი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო და 81-ე წუთზე ჟივემ შეცვალა. სტუმართა კარში ერთადერთი გოლი 59-ე წუთზე ბესტამა გაიტანა. ბლექბერნელთა მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი ხიზანიშვილს პრემიერლიგაში თამაშის საშუალებას ფაქტობრივად არ აძლევს და როგორც ჩანს, სათასო მატჩში ის ფეხმართა კარში ერთადერთი დანაშაულის შემთხვევაში არ ენდობა. ამის ერთ-ერთი დასტური ქოვენთის წინააღმდეგ, ქართველის გარდა, სამხრეთაფრიკელი აარონ მოკუნეს გამოჩენაც მოწმობს.

ლაშა თაბაგარი

"მუმემ" "ლაციოს" დუბლი შეუსრულა

იტალიურ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის ლოკომოტივმა რომის ლაციოს ძირითადი შემადგენლობა 3:1 დამარცხა, რამაც დიდი წვლილი შეიტანა დავით მუჯირმა. ბოლო ხანს ჩინებულ ფორმაში მყოფმა ქართველმა ნახევარმცველმა ლაციოს კარში ორი გოლი გაიტანა. მუჯირმა ლოკომოტივის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 34-ე წუთზე სიმონე ინძაგის გოლი გაქვითა, ხოლო 50-ეზე მოსკოველები დაანინაურა. რკინიგზელთა მხრიდან მესამე ბურთი სიროვმა შეაგდო. ქართველი ფეხბურთელი 57-ე წუთზე ტორბისკიმ შეცვალა.

გიგიაძე დააწინაურეს

უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგაში მოასპარევე სიმფეროპოლის ტავრიას ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე, გუნდის ერთ-ერთი ვიცე-კაპიტნად აირჩიეს.

სიმფეროპოლელთა კაპიტანი ალექსანდრე კოვაკი იქნება, ხოლო ვიცე-კაპიტნების ფუნქციას გიგიაძის გარდა, დენის გოლაილო, ილი გალიუზა და ფელკო ლუბენოვიჩი შეასრულებენ. ისინი გუნდში ჩემპიონრეველთა თანამემხნეები არიან და იმედია მაქვს, ბიჭების ნდობას გაამართლებენ, - აღნიშნა ტავრიას მთავარმა მწვრთნელმა სერგეი პუჩკოვმა გულშემატკივრებთან შეხვედრის დროს. გიგიაძე ტავრიაში მიმდინარე სეზონის წინ დაბრუნდა, ხოლო მანამდე ყირიმელთა ღირსებას 2000-2003 და 2004-2005 წლებში იცავდა. მის გარდა, სიმფეროპოლელთა რიგებში კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი, ნახევარმცველი ლადო ბურდული გამოდის.

დეკანოსიძე ბელარუსში დატოვეს

ბელარუსის ჩემპიონი საფეხბურთო კლუბი ბატე, სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში თურქეთში მეორე შეკრებაზე გაემგზავრა, მაგრამ პირველისგან განსხვავებით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ გონჩარენკომ ქართველი ლეგიონერი ლაშა დეკანოსიძე არ იახლა.

პირველ შეკრებაზე დეკანოსიძე ძირითად შემადგენლობასთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობდა და რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მოედანზე შეცვლაზე შევიდა. თუ რატომ თქვა ამჯერად გონჩარენკომ მის წაყვანაზე უარი, ბორისოვოელები არაფერს იუწყებიან.

21 წლის ნახევარმცველი ბატეში შარშან თბილისის დინამო 2 -დან გადავიდა.

ფარულია ძირითადში დაბრუნდა

ატლანტა ჰოქსმა ოთხმატიანი დასავლური ვიოაჟი დენვერში, ადგილობრივ ნაგეტსთან შეხვედრით დაასრულა. ნიკა ცქიტიშვილის ყოფილი გუნდი NBA-ს ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონის ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ ქორები ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე ესტუმრნენ მეტოქეს, გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდათ და 109:110 წააგეს.

დენვერის პეკსი სენტერში გასულმა ატლანტელეებმა მაიკ ბიბი - გრიპის, ხოლო ჯომ სმიტი ოჯახური პრობლემების გამო მოისაკლისეს.

სასტარტო შემადგენლობაში ბიბის ადგილი ფლიმ მორეიმ დაიკავა და 15 ქულა მოაგროვა, სმიტი

კი ფარულიამ შეცვალა და 24 წუთში 9 ქულას, 3 მოხსნასა და 1 დაფარებას გამოიჩინა.

ქართველმა კალათბურთელმა სამივე ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი სამჯერ დაკარგა და ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო.

ამჯერად მწვრთნელმა ზაზას პოზიციაც შეუცვალა - ცენტრის ნაცვლად მძიმე ფორვარდის ამპლუაში ათამაშა. ცენტრის ფუნქციას კი ალ ჰარფორიდი ასრულებდა, რომელმაც 40 წუთში მოგროვებული 21 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

ნაგეთს გამარჯვება მოუტანა მობურებულმა ვარსკვლავმა ჩონსი ბილაფსმა, რომელმაც სეზონისთვის სარეკორდო 33 ქულა

მიითვალა, თუმცა ბოლოს კინალამ ანტიგმირად იქცა.

ჩონსის მეცადინეობით მატჩის დასრულებამდე წუთ-ნახევარით ადრე დენვერელები 110:102 დანინაურდნენ და თავი ისე დაიმშვიდეს, კინალამ მშრალზე დარჩნენ. ჯო ჯონსონმა ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი იმავე ბილაფსს ბურთი მოჰპარა და ჯარიმების წყალობით ანგარიში 110:107 გახადა.

ბილაფსმა დენვერელთა ბოლო შეტევის დაგვირგვინება ისევ საკუთარ თავზე აიღო და 6.9 წამით ადრე მიზანს მიღმა ტყორცნა, მაგრამ მიურეის ბოლო სროლაც უზუსტო გამოდგა. დრამატულ მატჩში ნაგეთსმა გაიმარჯვა.

შეხვედრა მეტად არითმიული

საიტოზა ზაზანიანი ფოტოში

აზერბაიჯანის თასი ქართული გოლების გარეშე

ფეხბურთში აზერბაიჯანის თასის 1\4-ფინალის პირველ შეხვედრაში, რომელშიც ბაკიმ სტუმრად ხაზარლენქორანი 1:0 დაამარცხა, გამარჯვებულთა რიგებში, გიორგი დემეტრაძესთან ერთად, გიორგი ადამია იმყოფებოდა, ხოლო ამირან მუჯირს არ უთამაშია. დემეტრაძე 63-ე წუთზე შეცვალეს, ადამია კი - 79-ზე.

ბაკის რიგებში ერთადერთი გოლი ტიჯანიმ გაიტანა. ზაქათალის სიმურგამა, სადაც ოთხი ქართველი ლეგიონერი - მიხეილ მახვილაძე, კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე და გრიგოლ დოლიძე გამოდის, სტუმრად ბაკოს ინტერთან 0:2 წააგო. ზაქათალელთა შემადგენლობაში მახვილაძემ და დოლიძემ შეუცვლელად იასპარეზეს, ხოლო დანარჩენმა ორმა ქართველმა თეგლი სათამაშო დრო სათანადო გოთა სკამზე დაჰყვეს. გაბალა, რომლის ღირსებასაც თორნიკე აფციაური და გოგა ბერიაი იცავენ, საკუთარ მოედანზე რომან ახალკაცის, რევაზ გენაძისა და ალექსანდრე გოგობერიძის ბაკოს ოლიმპიკს დაუზავდა - 1:1. განვლილ შეხვედრაში, მასპინძელთა გუნდში ბერიაიმ და აფციაურმა სრულად ითამაშეს, ისევე როგორც ახალკაცმა ბაკიელთა შემადგენლობაში. რაც შეეხება გოგობერიძეს, ეს უკანასკნელი მოედანზე მე-60 წუთზე გამოჩნდა. გენაძე ოლიმპიკის განაცხადში არ ყოფილა.

მყავნაძე დაინუნეს

რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგაში გასულ წელს დაბრუნებული როსტოვის ხელმძღვანელობამ, ქართველი მცველის კახა მყავნაძის გუნდში დატოვებაზე, უარი განაცხადა. მიმდინარე წელს, მყავნაძემ როსტოველებთან ერთად ისრაელში შეკრება სრულად გაიარა, ხოლო შემდეგ, დონისპირელთა შემადგენლობაში მოსამზადებლად თურქეთში გაემგზავრა, სადაც მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ დოლმატოვმა ქართველზე საბოლოოდ განაცხადა უარი.

შარშან, 30 წლის ფეხბურთელი უკრაინულ ოდესის ჩერნომორეცკში გამოდიოდა, საიდანაც წლის მიწურულს დაითხოვეს. კარიერის განმავლობაში, მყავნაძე ოდესური კლუბის გარდა, ბათუმის დინამოში, მოსკოვის სპარტაკში, მახაჩყალის ანჟისა და უკრაინის პირველი ლიგის ოვიდიოპოლის დნესტრში ასპარეზობდა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მან 14 მატჩი ჩაატარა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

ტატანაშვილის დუბლებში გამოირჩა

ჩეხეთის საფეხბურთო გამბრინუს ლიგის წარმომადგენელ პლზენისა და მეორედიგელ მოსტის ფარმ-კლუბების ამხანაგურ მატჩში, რომელიც პლზენელთა გამარჯვებით - 8:1 დასრულდა, ქართველმა ფორვარდმა დიმიტრი ტატანაშვილმა ორი გოლი გაიტანა.

მან ჯერ თავი 55-ე წუთზე გამოჩინა, როდესაც სტანეკის ნაშრომებში და ვარაიდს გაგრძელებული კომბინაცია გოლი დაასრულა, მეორედ კი, მეტოქის კარი 79-ე წუთზე აიღო, მას შემდეგ, რაც ვარაიდის ზუსტი გადაცემა გამოიყენა. 26 წლის თავდამსხმელი, ჩეხეთის 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-10 ადგილზე მყოფ პლზენში, 2008 წლის დასაწყისში გადავიდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 12 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

მოჭი ისევ დაიბარეს

ტურინის "იუვენტუსის" ყოფილ ხელმძღვანელ ლუჩანო მოჯის, რომელსაც თანამდებობა სამი წლის წინ სატრანსფერო თაღლითობებისა და მატჩების ჩანაწერების გამო დაატოვებინეს, უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ მოუწევს იტალიის სასამართლოს წინაშე წარდგენა.

ამჯერად, საქმე ცილისწამებას ეხება. საქმე ისაა, რომ 2006 წელს ერთ-ერთი ვაზეთისთვის მუცემულ ინტერვიუში, მოჯიმ განაცხადა - სერია B-ში დაქვეითებულ "იუვენტუსზე" არანაკლებ სასჯელს "ინტერი" იმსახურებდა, რომელმაც ალვარო რეკობასთვის ევროკავშირის პასპორტის მიღება არაკანონიერი გზით მოახერხა და რომლის პრეზიდენტი მასიკო მორატი, სამსაჯო კომიტეტის წევრებთან გარკვეულ გარიგებებში მყავს მხილებული.

იტალიურმა სასამართლომ, "ნერაძურის" მესვეურებს მოჯის ვერცერთი ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და ახლა, თვითონ "ინტერის" ხელმძღვანელები უჩივიან "იუვეს" ექსპრეს ცილისწამების გამო. მოჯის ადვოკატი ამ ამბით ძალიან გაკვირვებულია, რადგან თავის დროზე, მისი კლიენტი უკვე გაამართლეს ანალოგიური ინტერვიუს გამო, რომელიც "ბებერი სინიორასს" ყოფილმა ხელმძღვანელმა სხვა გამოცემას მისცა...

რაულის არჩევანი

"რეალის" 31 წლის კაპიტანი რაული, რომელსაც კლუბთან მოქმედ ხელშეკრულება 2011 წლის ივლისში ეწურება, შესაძლოა, კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ აქტიურ სპორტს ჩამოშორდეს, ან კარიერა ამერიკულ ლიგა MLS-ში გააგრძელოს. ცოტა ხნის წინ, რაულმა "სამეფო კლუბის" მისიურიტი 311-ე გოლი გაიტანა, რითაც ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს საკლუბო რეკორდი გააუმჯობესა.

"როცა უმაღლეს დონეზე თამაშობ, ამ დროს კარიერის დასრულებაზე გადანიჭვითილებების მიღება ძალიან ძნელი ხდება, თუმცა კარგად მესმის, რომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და ადრე თუ გვიან, მეც მომიწევს საკუთარი კარიერისთვის წერტილის დასმა. ჩემსა და "რეალს" შორის გაფორმებული კონტრაქტი ძალაში 2011 წლის ივლისამდე იქნება. მის ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე უნდა მივიღო გადაწყვეტილება - გავაგრძელო, თუ არა ფეხბურთის თამაში, დავრჩე, თუ არა "სამეფო კლუბში". არ არის გამორიცხული, მადრიდელი კლუბის ფორმის გახდის შემდეგ, საკუთარი თავი MLS-ის რომელიმე კლუბში გამოვიყვანო, თუკი ამის საშუალებას ასაკი და ჯანმრთელობა მომცემს. სიმართლე გითხრათ, ბოლო პერიოდში, ამერიკულმა ლიგამ ძალიან დაამატირეს და მინდა, იქ თუნდაც ერთი სეზონი გავატარო", - განაცხადა რაულმა.

რამოსს ენფილდზე მოგების იმედი აქვს

ფაქტობრივად უკვე ცნობილია ის ერთი გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებს. ოთჯშაბათს ლისაბონში სპორტინგის განადგურების წყალობით იურგენ კლინსმანის ბაიერნმა შემდეგ ეტაპზე თამაში დაიბეჭა. მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რელიდ რომელმაც სანტიაგო ბერნაბეუზე დათმო დაპირისპირება ლივერპულთან და ახლა სამეფო კლუბში ენფილდზე გეგმავს გამარჯვებას.

გუსს ჰიდინკი ("ჩელსის" მთავარი მწვრთნელი): "შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა იგვეს ვერ ვიტყვი თამაშის ხარისხზე. მატჩი საკმაოდ ძლიერად დავიწყეთ და შევძელით მეტოქის დაცვის გარღვევა ფლანგური შეტევების ხარჯზე, თუმცა გატანილი გოლის შემდეგ უკან დავიხიეთ და ამით მივეცი საშუალება "იუვენტუსს" გამოეყენებინა თავისუფალი სივრცეები ჩვენს სათამაშო რგოლებს შორის. თუკი თამაშს ისეთივე ხარისხით გავაგრძელებდით, რაც პირველ 20 წუთს ვაჩვენეთ, მეორე გოლის გატანასაც შევძლებდით. მეორე ტაიმში ცუდად ვაკონტროლებდით თამაშის მსვლელობას და ინიციატივა იტალიელებს გადაეულოცეთ. მონინალმდევე სახიფათო მომენტებს ქმნიდა, თუმცა, აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ახლა "იუვენტუსს" განმეორებით მატჩში აუცილებლად სჭირდება გოლის გატანა. რთული თამაში გველის, რამდენადაც იტალიელებს აშკარად დაბალანსებული გუნდი ჰყავთ. მცირე უპირატესობა გვაქვს და თუკი შევძლებთ საკუთარი თამაშის ჩვენებას, აქედან სარგებელსაც მივიღებთ. დიდხანს ვარგებლობდით მატჩი ითამაშა. მეტად მნიშვნელოვანია ასეთი დონის ფორვარდი, განსაკუთრებით თავდასხმის ცენტრში".

კლაუდიო რანიერი ("იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი): "ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა, ამიტომაც საჭირო იყო თუნდაც ერთი გოლი გაგვეტანა მეტოქის მოედანზე. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ეს რომ მოგვეხერხებინა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად იწვინა. თამაშის შემდეგ ფეხბურთელებმა გასახდელში განაცხადეს, რომ თამაშის დონეს ვაჩვენებთ, ნებისმიერ სტადიონზე შეგვიძლია მოვიგოთ."

რაფაელ ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი): "ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოგებაა ჩვენთვის, მაგრამ წინ კიდევ ერთი თამაშია. ახლა ვტყუბებით მიღწეულ შედეგზე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი საბრძოლო იმიტაციის სასურველი შედეგისათვის მიგველნია. პირველივე წუთებიდან ვგეგმავდით მაღალი ტემპით შეტევებს, მაგრამ ეს არ გამოგვივიდა. ნანილობრიგ ხელი "ჩელსიმ" შეგვიშალა, ნანილობრიგ კი ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამის გაკეთებას. საკმაოდ ამაღელვებელი მომენტი იყო ჩემთვის ჩელსის დამარცხება, რომ ჯერ კიდევ ვახსოვარ და პატივს მცემენ. აქ ოთხი შესანიშნავი სეზონი გავატარე, "ჩელსის" გულშემოყვარება ასეთი დახვედრა



იოსი ბენიუინის ამ გოლმა "ლივერპულს" "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოუტანა გამარჯვება

გამიხარდა.

ხუანდე რამოსი ("რეალის" მთავარი მწვრთნელი): "თამაში დაძაბული გამოდგა. საგოლე მომენტები უამრავი იყო, ორივე გუნდი თავის შანსს ელოდა და ყველაფერი გადაწყვიტა სტანდარტულმა კომბინაციამ. "ლივერპული" ისე მოქმედებდა, როგორც ვვარაუდობდით. მისი ფიქრი საკუთარი კარის უსაფრთხოებისაკენ იყო მიმართული, ეს იყო ტაქტიკური დაპირისპირება, სადაც ჩვენ ვცდილობდით ანგარიშს გავსწასო, მაგრამ ამის მაგივრად მივიღეთ გოლი საკუთარ კარში. ახლა ინგლისში მოგება გეჭირდება. თამაშის მოგება ნებისმიერ ტურნირზე ყოველთვის რთულია, იოლად არასდროს არ მოდის დადებითი შედეგი, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენ განმეორებითი მატჩისას ვინარჩუნებთ გარკვეულ შანსს - წინ მთელი 90 წუთი გვაქვს. თუკი ჩვენი თამაშის დონეს ვაჩვენებთ, ნებისმიერ სტადიონზე შეგვიძლია მოვიგოთ."

რაფაელ ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი): "ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოგებაა ჩვენთვის, მაგრამ წინ კიდევ ერთი თამაშია. ახლა ვტყუბებით მიღწეულ შედეგზე, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი საბრძოლო იმიტაციის სასურველი შედეგისათვის მიგველნია. პირველივე წუთებიდან ვგეგმავდით მაღალი ტემპით შეტევებს, მაგრამ ეს არ გამოგვივიდა. ნანილობრიგ ხელი "ჩელსიმ" შეგვიშალა, ნანილობრიგ კი ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამის გაკეთებას. საკმაოდ ამაღელვებელი მომენტი იყო ჩემთვის ჩელსის დამარცხება, რომ ჯერ კიდევ ვახსოვარ და პატივს მცემენ. აქ ოთხი შესანიშნავი სეზონი გავატარე, "ჩელსის" გულშემოყვარება ასეთი დახვედრა

